# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 18 დეკემბერი, 2010 წელი.

№236 (6602)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## დედები არა გყავთ, დოქსოპულოებო?!

4



## „ტაიფულმა" გუგულის ბუდეს გადაუფრინა

2



## ანდრეი ნესტერენკო: რუსეთში ძველებურად უყვართ საქართველო და ქართველები

8

## არ შეიძლება „დედალ ძროხას" სახრეს ურტყამდე და მისგან რძეს ელოდე...

## ილია მეორე: გადაცემა იყო ცუდზე უარესი და მიმართული



# ეკლესიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ

გადაცემა, რომელიც დავით პაიჭაძეს მიჰყავდა, იყო ცუდზე უარესი და მიმართული ეკლესიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ , – ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გუშინდელი ქადაგების დროს ბრძანა.

„რასაც გადაცემის მსვლელობის დროს საუბრობდნენ, ეკლესიის, წმინდა სინოდის, პატრიაქრის წინააღმდეგ, არის უდიდესი ცოდვა ღვთის წინაშე", – ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესმა ქადაგების დროს ახსენა, ასევე, თეოლოგი ბექა მინდიაშვილი და აღნიშნა, რომ მინდიაშვილი ერთი პერიოდი სემინარიაში სწავლობდა. თუმცა, პატრიარქის თქმით, მის დროსაც სწავლობდნენ სემინარიაში ისეთი სტუდენტები, რომლებიც სპეციალურად იყვნენ მიგზავნილები განხეთქილების შესატანად.

პატრიარქმა დაგმო ის ფაქტიც, რომ გადაცემაში გაკრიტიკებული იყო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, კერძოდ, განცხადება, რომ რუსული ეკლესია რუსეთის ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება.

ამასთან, უწმინდესმა ბრძანა, რომ „ეს ჩვენი განსახილველი არ არის და აღნიშნული ორ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ხიდის ჩატეხვის მცდელობას წარმოადგენს".

„ადამიანები, რომლებიც აკრიტიკებენ ჩვენს სარწმუნოებას, თავის გულში ჩაიხედონ და ნახავენ, რომ იქ ბევრი ჭუჭყია", – ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ არ შეეძლო დღეს ამ თემაზე არ ესაუბრა.

მისივე თქმით, უკვე რამდენჯერმე იყო ეკლესიის წინააღმდეგ განცხადებების გაკეთების მცდელობა, რაც საშიშია ხელისუფლებისთვის, საზოგადოებისა და ეკლესიისთვის. „ძალიან მაფიქრებს, რომ ეს გადაცემა იყო პირველი არხით, ესე იგი სახელმწიფო ხელისუფლების არხით. თუ ეს ხელისუფლების დავალებითაა, მთლად უარესი. ასე მოგვილოცეს მათ ბარბაროზა. გადაცემაში გიგა ზედანიამ მოიყვანა ციტირება მარქსისა, რომ რელიგია ხალხის ოპიუმია. რაღა დროს ოპიუმია, რაღა დროს მარქსის ციტირებაა? მე ვწუხვარ, რომ ბექა მინდიაშვილი მღვდლის „ძმისშვილია", – აღნიშნა პატრიარქმა.



დავით პაიჭაძის სინდრომი

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „დიალოგის" ავტორის დავით პაიჭაძის სტუმარი ბექა მინდიაშვილი იყო.

სოციალურ ქსელებში ბექა მინდიაშვილმა გაავრცელა ანონიმური ავტორის აბსურდული წერილი, სათაურით „პატრიარქობა ნათესაობით გადადის?! საით მიდის საქართველოს ეკლესია". წერილში აღნიშნულია: „გავრცელებული ხმებით, პატრიარქი მის ძმისშვილს უმზადებს საყდარს, რომელიც ფარულად, მიზანდასახულად და მისთვის ჩვეული მოხერხებულობით, შთააგონებს ბიძას სინოდში ახალი მღვდელმთავრებით გაიძლიეროს პოზიციები. მართალია, ეს მცდელობა წინა სხდომაზე ბოლომდე მოუმზადებლობის გამო ვერ განხორციელდა, მაგრამ მას შემდეგ დრომ და გერმანიაში ბიძასთან განცალკევებულად ყოფნამ ამ გეგმის და მიზნის შენიღბვისთვის მოქმედების კარგი საშუალება მისცა. ფშავ-ხევსურეთის გაყოფა თანამემამულისა და ნათესავის, ეპისკოპოსობიდან განყენებული ქრისტეფორე წამალაიძის შემორიგებასთან ერთად, ხმის მყარ გარანტიას იძლევა, სამთავისისა და გორის ეპარქიის, გურიის, საზღვარგარეთის ეპარქიის, რუისისა და ურბნისის გაყოფით მეუფე დანიელს, აბრაამს და იობს შეასუსტებენ. ნეკრესის ეპარქიიდან ლაგოდეხის, ახალციხიდან ასპინძის, დედოფლისწყაროდან ჰერეთის გამოყოფით ახალი ეპისკოპოსების ნაკადით (სულ 12 მღვდელმთავარი) უცებ, ერთ სინოდზე, ძლიერ და საიმედო დასაყრდენს იქმნის ბათუმის ამჟამინდელი მიტროპოლიტი და პატრიარქის ძმისშვილი".

დავით პაიჭაძის გადაცემა „დიალოგი" ამ წერილს და მასში დასმულ საკითხებს ეხებოდა.

„ინტერპრესი"

ფრაზა დღის ამფრაზურიდან

## ქეთუსია (ქეთევან) იგნატოვა – ჰომოსექსუალისტების სადარაჯოზე!..



ათწლეულების მანძილზე, საბჭოთა კანონმდებლობით აკრძალულ, დასჯად და მაინც ყოველთვის, ყველა დროსა თუ წყობაში არსებულ ჰომოსექსუალიზმზე ღიად საუბარს ქართული საზოგადოება არც არის და ბუნებრივად, ვერც იქნება მიჩვეული. ამას, ალბათ, დრო და გარკვეული კულტურა სჭირდება. საზოგადოება, თითოეული ჩვენგანი მიზანმიმართულად უნდა ეცადოს თავის თავში ჭეშმარიტი ტოლერანტი აღზარდოს, გააღრმავოს, გაითავისოს. გაიგოს და მიიღოს, რომ ჰომოსექსუალისტი, სხვების მსგავსად, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია და არა მოძალადე, როგორც ამას „აუდიტორიაში" მიწვეულ სტუმართა ნაწილი გვიმტკიცებდა.

Weekand №39
17-23 დეკემბერი

პარლამენტში

# არ შეიძლება „დედალ ძროხას“ სახრეს ურტყამდე და მისგან რძეს ელოდე...

## მთავრობა ჭარბი ბიუჯეტის მოლოდინშია

**ეკონომიკური კრიზისი დაძლეულია. მომავალი წლიდან სტაბილური ბიუჯეტის პირობებში ეკონომიკურ ზრდას ველოდებით, — ოფიციალურად განაცხადა გუშინ ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, რომელზეც 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცდა.**

**მთავრობას, ოპონენტებისგან განსხვავებით, საკმაოდ ოპტიმისტური განწყობა აქვს. ამბობენ, რომ პრიორიტეტული სოფლის მეურნეობა, სოციალური პროგრამები, ჯანდაცვა და განათლება იქნება. ამ მიზნით დაფინანსებას თითოეულ სამინისტროს საკმაოდ უზრდიან, მაგრამ, თუ ამ თანხებს მთლიან შიგა პროდუქტს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ მაჩვენებელი მცირდება. მთავრობას არგუმენტები ბლომადა აქვს, რისიც არ სჯერა ოპოზიციას. უმჯობესია, კახა ბაინდურაშვილის მონაცემებსა და ლოგიკას მივყვეთ.**

მინისტრის განცხადებით, 2010 წლის ბიუჯეტი წარმატებით განხორციელდა, რომელმაც ქვეყანას 6-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა მისცა, გაისად 4,5-პროცენტიანი ზრდა არის გათვალისწინებული. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ვალმა, როგორც საგარეო, ისე საშინაომ, 46 პროცენტი შეადგინა, მომავალ წელს მაჩვენებელი იგივე დარჩა, მხოლოდ მომდევნო ორი წლის განმავლობაში შემცირდება 44 პროცენტამდე.

2008 წლიდან ადმინისტრაციული ხარჯების მოცულობა 2-ჯერ შემცირდა, მინისტრის მტკიცებით, ეს რესურსები კიდევ 10 პროცენტით დაიწევს.

წლევანდელსა და მომავალ ბიუჯეტს შორის განსხვავება სულ 21 მილიონია და 7 მილიარდ 107 მილიონს შეადგენს. წლის დასაწყისში 7,4-პროცენტიანი დეფიციტი გვქონდა, მაგრამ წლის ბოლოს 6,3 პროცენტამდე შემცირდა. ბიუჯეტის ყველაზე დიდი წილი — 25 პროცენტი ჯანდაცვაზე მოდის, მას მოჰყვება ადგილობრივი ტრანსფერები — 14 პროცენტი, განათლება — 10 პროცენტი...

2002 წელთან შედარებით განათლების სამინისტროს ბიუჯეტი 100 მილიონით არის გაზრდილი, რომელიც სხვა პროგრამებთან ერთად გულისხმობს ყველა პირველკლასელისთვის კომპიუტერის დარიგებას, ინგლისურის შესწავლას, პროფესიულ განვითარებასა და უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განხორციელებას — მანდატურების ინსტიტუტის გაძლიერებას.

რაც შეეხება ჯანდაცვას, მთავრობა აცხადებს, რომ 2011 წელი — ეს იქნება მოსამზადებელი პერიოდი 100-დოლარიან პენსიაზე გადასასვლელად. ამ პროექტის ტექნიკური მომზადება 1 ივლისიდან დაიწყება. ყველა ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც 2010 წელს იყო გათვალისწინებული, შენარჩუნდება. დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით მომავალ წელს დასრულდება ჰოსპიტალური სექტორის მშენებლობა, რისთვისაც სახელმწიფო 50 მილიონ ლარს დახარჯავს.

საპარლამენტო ოპოზიციას ყველაზე მეტი კითხვა სწორედ ამ სამინისტროს დაფინანსებასთან აქვს. მათი თქმით, ჯანდაცვის ბიუჯეტი შარშან 350 მილიონი იყო, წელს კი 318 მილიონამდე მცირდება. შემცირება განსაკუთრებით ეხება გულის ქირურგიულ ოპერაციების, დიალიზის და სხვა დაავადების დაფინანსებას.

ჯანდაცვის ბიუჯეტის შემცირებას ფინანსთა მინისტრი პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობით ხსნის. ის ამბობს, რომ დონორი ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში საკუთარ თავზე იღებენ პროფილაქტიკის დაფინანსებას, რაც დაავადებათა ადრეულ ეტაპზე გამოვლენას უწყობს ხელს. ამდენად, თუ მომავალ წელს ჯანდაცვის დაფინანსებაზე ჩვენი ეროვნული შემოსავლის 37 პროცენტი არის გათვალისწინებული, მომდევნო წლებში კიდევ უფრო შემცირდება. ამ სფეროში დიდ როლს თამაშობს დაზღვევის ინსტიტუტის გააქტიურება, რაც ბიუჯეტის გამოთავისუფლების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი არგუმენტები ოპოზიციას აბსოლუტურად არ აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ ოთხმაგდება სოფლის მეურნეობის დაფინანსება: თუ 2010 წელს ბიუჯეტი 13 მილიონი იყო, წელს 52 მილიონი იქნება. ფინანსთა მინისტრმა განმარტა, რომ სოფლის მეურნეობა ბიუჯეტის პრიორიტეტია: „2008 წლის კრიზისმა გვიჩვენა, რომ იმპორტულ პროდუქციაზე ფასების ზრდამ მყისიერად გაზარდა ფასები საქართველოში. ინფლაციის გაზრდაში 80 პროცენტი მსოფლიოში სურსათზე ფასების გაზრდის ბრალია. ჩვენ იმპორტის ფასებს ვერ დავიცავთ, სწორედ ამიტომ ვაპირებთ ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და ხელშეწყობას“, — აღნიშნა მან. ოპოზიციას სადავო აქ არაფერი ჰქონდა, გარდა ჰიბრიდული სათესლე მარცვლეულისა, რომლის შეძენაზე სახელმწიფო ყოველწლიურად 30 მილიონს ხარჯავს, რადგან მომავალ წელს სათესლედ აღარ გამოიყენება.



ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტიც 45 მილიონით იზრდება და ძირითადად ორი მიმართულებით გადანაწილდება; საინვესტიციო-სარეკლამო განყოფილების და ტურპაკეტების შექმნისთვის. ამასთანვე ეკონომიკის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური სტრატეგია და ეროვნული გეგმა, რომელიც დღემდე არა აქვს. რაც შეეხება ტურიზმს, წლეულს აქედან შემოსული თანხები 15 პროცენტით გაიზარდა. ამ დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის შექმნა. ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის 205 მილიონი ლარია გამოყოფილი. მათ შორის ბათუმის, ანაკლია-განმუხურისა და ადიგის ტურისტული ზონების ხელშესაწყობად.

რაც შეეხება ენერგეტიკას, 130 მილიონი ლარია გათვალისწინებული შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობისთვის, ხოლო 36 მილიონი — ენგურჰესისთვის. 31 მილიონი ლარი ელექტროქსელების მშენებლობას მოხმარდება.

ახალი ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება თბილისი-რუსთავის ავტობანისა და მეტრო „უნივერსიტეტის“ მშენებლობის დამთავრება. ახალი ბიუჯეტის ფინანსებშია გათვალისწინებული ახალი საელჩოების გახსნა სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ კორეასა და სინგაპურში.

ამ სამინისტროებისგან განსხვავებით დაფინანსება უმცირდებათ ძალოვან უწყებებს, დიასპორის, რეინტეგრაციისა და ევროპასთან ინტეგრაციის სამინისტროებს.

ფინანსთა მინისტრის გაანგარიშებით, ბიუჯეტს 18 მილიონის რესურსი მორჩება, რაც რეგიონების დახმარების ფონდში გადანაწილდება.

ბიუჯეტს საპარლამენტო უმცირესობა მხარს არ უჭერს, რადგან მიიჩნევენ, რომ სოციალურად მძიმე ბიუჯეტი იქნება. ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ ხელისუფლება ბიზნესს მძიმე მდგომარეობაში აგდებს. მაღალ საურავებს აწესებს და ამ გზით ცდილობს ბიუჯეტის შევსებას, რაც აუცილებლად უკუშედეგს მოგვცემს. არ შეიძლება, სოფლის მეურნეობის მინისტრის ტერმინს თუ ვიხმართ, „დედალ ძროხას“ სახრეს ურტყამდე და მისგან რძეს ელოდე“, ამბობს დეპუტატი. მთავრობა კი პირიქით ამტკიცებს. ბაინდურაშვილის თქმით, ბიუჯეტის ზრდის პროცესი შეუქცევადია: „ჩვენ გავითვალისწინეთ 4,5 პროცენტი ეკონომიკური ზრდა, ხოლო ინფლაცია 7-8 პროცენტამდე ჩავდეთ. ამ დროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვარაუდობს, რომ ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მეტით — 6,3 პროცენტი იქნება. ძალიან კარგი თუ ჭარბი შემოსავლები გვექნება, ამას რა სჯობს“!..

**თეა მოსია**

პოლიტიკური დიაგნოზი

# „ტაიფულმა“ გუგულის ბუდეს გადაუფრინა

**დიახ, გადაუფრინა.**

**პრინციპში გადაუფრენდა.**

**რატომაც არა? ვითომ რატომ არ უნდა გადაეფრინა?**

**ბოლო-ბოლო წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ნიავი კი არაა, ციკლონია! (უჰ, მაპატიეთ, ციკლონი კი არა, „ტაიფული!“ დიახ, „ტაიფული!“).**

მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ „ვილაცამ“ კი არ გადაიფრინა, ვთქვათ სააკაშვილმა ახალი თვითმფრინავით, ან რომელიმე მინისტრმა, ევროპიდან აზიისკენ ინვესტიციების საძებნელად „მიმავალმა“, არამედ საკმაოდ საშიშმა ციკლონმა. თან გუგულის ბუდეს კი არა, საქართველოს გადაუფრინა!

ეჰ, ამ ევროპიდან მოსული, არაფერი არ ვარგა!

არც ციკლონი!

რაღა ნატო და რაღა ტაიფუნი!

ვიფიქრე, ციკლონი მოვა, რაღაცებს მიანგრ-მოანგრევს. მერე დახმარებას მივიღებთ, მერე სამუშაო ადგილები შეიქმნება, მერე ერთ კარგ ბრიფინგს მოაწყობს ზოგიერთი მომავალი პრემიერ-მინისტრი, მერე... დ. ა. შ.

აჰ, მეტი არაა ჩემი მტერი.

ოდნავ წამოწვიმა და ეგ იყო.

არადა იმ „ტაიფულმა“ ინგლისი თოვლით აავსო (საფეხბურთო მატჩიც გადაიდოძ. შუა ევროპაში 21 ადამიანი იმსხვერპლა (ეს „კურიერის“ ინფორმაცია იყოძ. მოკლედ რომ ვთქვა, იქ, ევროპაში ყველაფერი ისე იყო, როგორც „თავმოყვარე“ ციკლონს შეეფერებოდა.

ჩვენ კიდევ, „რავა ყველასგან გამოსხლეტილები“ და ყველაფერში დაჩაგრულები უნდა ვიყოთ.

არც ნატოში გვიღებენ, არც ევროკავშირში და არც ციკლონი ეხმარება ჩვენს მდგრად ეკონომიკას.

ალბათ ფსიქოლოგიურ ტრენინგს გვიტარებდნენ. რამე რომ მოხდეს, არ შეგეშინდეთო. ევროპაში დაიღუპა 21 ადამიანი და ქართველები უარესს უნდა ელოდოთ. რითი ხართ ნაკლებნიო, მაგრამ როგორც ყოველთვის, ისევ მოგვატყუეს.

ზვავები და ქარბორბალები კი არა, ოდნავ წამოწვიმა და ეგ იყო სულ ევროპიდან მოსული „ტაიფული“.

ისე გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ამ ევროპელებისგან, რაიმე მაგარს, მძაფრს, რაიმე ისეთს, რომელიც საქართველოს შეაზანზარებდა, ელოდით?

მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნების მეტეოროლოგებმა, შეშფოთება რომ არ გამოთქვეს.

არა, პრინციპში შესაშფოთებელი ბევრი არაფერი იყო, მაგრამ მაინც. ეს ხომ მაგათ დებულებაში წერია.

სამაგიეროდ პუტინმა იმღერა.

თუ ამ ჩვენი პრეზიდენტის პრესსამსახურისგან, ამ თემის იგნორირებაზე ვიფიქრებთ, მარტივად მივხვდებით, რომ სააკაშვილს სმენა არა აქვს.

მერე რა, რომ სმენა არა აქვს. სამაგიეროდ ცეკვა ეხერხება. თანაც მექსიკური.

აბა პუტინმა იცეკვოს!!!

ვერ იცეკვებს. ვერც მაგისი ეკონომიკის მინისტრი იცეკვებს (როგორც იმერეთში ამბობენ: — „ჩვენი ჯობია“!ძ.

ეგენი ვერც ერთი ვერ იცეკვებს.

ვერ იცეკვებენ, იმიტომ რომ „რასსა არ ეყოფათ“. თანაც ჩვენთან ავტობუსით მგზავრობა და წყლის გადასახადი გაძვირდა. აბა იმათ სად შეუძლიათ ავტობუსზე, წყალზე და ნაგავზე ფასების მომატება.

იქ ხომ „ოროსნები“ არიან.

ოროსნები არიან ყველაფერში.

„სპარტაკის“ ერთი „ბალელშჩიკი“ მოკლეს და, მთელი მოსკოვი გამოვიდა. „პაგრომები“ მოაწყვეს.

ჩვენ ტოლერანტები ვართ.

არა, მარტო ტოლერანტები კი არ ვართ, ცეკვაც ვიცით და . . .

უჰ, მაპატიეთ, აქ ცოტა დავფიქრდი. მეტი ვიცით რაიმე?

სიმღერაში პუტინი „გვჯობს“, ძიუდო მონაკოელებმა უნდა გვასწავლონ (სახელისუფლებო ინფორმაციააძ, სასტუმროები უცხოელებმა უნდა აგვიშენონ... დ.ა.შ.

**მოკლედ რომ ვთქვა, ერთადერთი როსტო გვყავს „ნანუკას შოუში“ და „მგზავრები“ — „პროფილში“.**

ახლა რომ დავფიქრდი, მგონი მართლა ევროპელები ვყოფილვართ. ოღონდ მე არა, რა! არ მინდა ევროპელობა. მაგათ ციკლონიც არ უვარგათ.

ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა: დგას ქართველი ვილნიუსში და ბალტიისპირელებს „ებლატავება“ — მთელ მსოფლიოში ყველაზე სუფთა ქალაქი თბილისიაო. „რატომო“, იკითხა ერთმა ვილნიუსელმა. „იმიტომ, რომ ყველაზე მეტი „მეორადი პროდუქტი“, თბილისიდან გააქვთო!!“ (არ ვთქვი სიტყვა „ნაგავი“ძ.

თუ ამ ანეკდოტის „რემეიქს“ გავაკეთებთ, პოლიტიკურად ყველაზე სუფთა ქალაქიც თბილისი ყოფილა.

არ გავშიფრავ, მაგრამ ვიტყვი, რომ ყველაზე მეტი პოლიტიკური „მეორადი პროდუქტი“, ამ ქალაქშია (უბრალოდ გატანა უნდა, მაგრამ მანქანები არ გვყოფნისძ.

ის „მეორადი პროდუქტი“, რომლებიც გუგულებივით სხვედან ქართველი ხალხის ბუდეებში და უკანასკნელ ლუკმასართმევენ.

გაინტერესებთ „გუგულების“ რაოდენობა?

არ არის პრობლემა:

**150 პარლამენტარი, მათი აპარატი. მინისტრები, თავიანთ თანამშრომლებთან ერთად. ის პოლიტიკოსები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებენ. გამგეობები და მათს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურები.**

ხომ არ გგონიათ, რომ ძალიან ბევრნი არიან?

არავითარ შემთხვევაში. მათი საკმაოდ დიდი რაოდენობა შეამცირეს, გარკვეული ნაწილი კი დააპატიმრეს.

ასე, რომ, არც ისე ბევრი „გუგული“ დაფრინავს საქართველოს თავზე.

საოცარია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ფრინველებს, ისევ „ტაიფული“ სჯობს.

ამ დროს კი ხალხი ტელევიზორებთან ზის და მოკრივე „ფისუნიას“ პრობლემებზე ცრემლებს აფრქვევს.

აფრქვევს ცრემლებს, ლაზღანდარი გვევლინება ყველაზე „სვეტსკი“ გადაცემის ერთ-ერთ წამყვანად და გაძვირებულ ავტობუსში მსხდომი მგზავრები „თხლად“ ეწუწუნებიან ყვითელ საწვიმრებში გამოწყობილ კონტროლიორებს.

მხოლოდ ეწუწუნებიან. ეწუწუნებიან და ერთმანეთს არ იცავენ.

არადა, რა იმედი მქონდა იმ „ტაიფულის“!

**გია გაბრიჭიძე**

◉ წერილი ამერიკიდან

# რა ჰქვია ჩემს სამშობლოს?,

## ანუ სამი მაისურის ისტორია




**ეს წერილი ერთგვარი გაგრძელებაა „საქართველოს რესპუბლიკაში" (5.11.2010, №206) დაბეჭდილი ჩემი სტატიისა, რომელიც ქართული ენის ნორმების დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის აღგენის იდეას და იმ არგუმენტებს მოიცავს, რომელიც ნათელს ხდის ამ კომისიის განახლების აუცილებლობას.**

ქვემოთ, კიდევ ერთ, ემიგრანტულ რაკურსს წარმოგიდგენთ და თავად მიხვდებით, რა მწარე და ცხელია ჩვენს თვალთაგან დადენილი ცრემლი...

ამა წლის სექტემბრის ჟურნალ „სმითსონიანში" დაიბეჭდა ივა სკოჩის პატარა ნოველა სათაურით „სოუ, ვიაარ იუ ფრომ."

ნოველაში აღწერილია ჩეხი ქალბატონის ისტორია, რომელიც ამერიკაში სულ რაღაც ერთი წელია ჩამოვიდა, ცდილობს აქაური ქცევები გაითავისოს, ყველგან და ყოველთვის იყოს ზედმიწევნით თავაზიანი, მაგრამ მისი აქცენტის გამო, პირველივე შეკითხვა, რაც მის მიმართ უცხო ადამიანების მხრიდან დაისმის, არის — „ვიაარ იუ ფრომ" — საიდან ხარ? აი, აქედან იწყება ის თავის ტკივილი, რომელიც მე და ამ ნოველის გმირს გვაერთიანებს. კითხვაზე ქალბატონი პასუხობს, რომ ის ჩეხეთის რესპუბლიკიდან არის; მოლარე ეუბნება — ო, ვიცი, ვიცი, ბიძაჩემი იყო შარშან რუსეთშიო... ლიფტით მგზავრობის დროს, იგივე კითხვა-პასუხს მოსდევს: ჩემი მეგობრის ბაბუა იყო ჩეხოსლოვაკიიდანო. საცოდავი ემიგრანტი მათ შეახსენებს და ეუბნება, რომ 1993 წელს ჩეხოსლოვაკია გაიყო და ახლა მის ქვეყანას ჩეხეთის რესპუბლიკა ქვია, მაგრამ ამერიკელთა დამთრგუნველი ცნობისმოყვარეობა შემდგომშიც არ წყდება...

თავიდანვე გეტყვით, ამ ქალბატონის ამბავი, ჩემნაირი ფიცხი და ამაყი კაცის ისტორიებთან ახლოსაც ვერ მივა. რა თქმა უნდა, თავაზიანი მეცა ვარ, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს. ღმერთო, მაპატიე, მაგრამ ერთ ყბაში რომ შემომილაწუნებენ, მეორის მიშვერა ძალიან მიჭირს. რიჩარდ არნოლდის სახელობის სკოლის ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე, ახალჩარიცხულს, მკითხეს — საიდან ხარო, — ვუპასუხე და მათი რეაქცია ისეთივე იყო, როგორც ზემოთ აღწერილ ნოველაში, თუმცა სიტუაცია აქ უფრო რთული გამოდგა: ჯგუფში ვილაც რუსი ყოფილა, წამოდგა და მთელ კურსს ხაზგასმით განუმარტა, ქართველები რუსულ ენას თავის მეორე მშობლიურ ენად მიიჩნევენო... ვინც მე მიცნობს, მათთვის ადვილი წარმოსადგენია, იქ რა ამბავი ატყდებოდა... ჰო, პოლიციასაც დაუძახეს...

ამერიკაში მოკლემკლავიანწარწერებიანი მაისური, ძირითად ფუნქციასთან ერთად, მისი მატარებლის ვინაობის, ხასიათის ან სულაც მისწრაფებების წარდგენასაც ემსახურება. მეც გადავწყვიტე, ეს მომენტი გამომეყენებია; შავი ფერის მაისური ვიყიდე და შევუკვეთე ზედ ქართულად და ინგლისურად ზურაბ ჟვანიას გაეროში წარმოთქმული ცნობილი სიტყვები დაეტანათ: „მე ქართველი ვარ და ვარ ევროპელი", „აი ემ ჯორჯიენ ენდ აი ემ ევროპიენ." მაგრამ მეც რომ „ჯორჯიენ" ვარ და ჩემს ირგვლივ მყოფნიც (ჯორჯიის შტატში ვცხოვრობძ, ეს ძალიან მაწუხებს, არადა ძველ ბერძნებსაც ვერ ვადანაშაულებ, შემოუყვნენ რიონის ნაპირებს, დაგვინახეს — ვხნავდით და ვთესავდით და რაც უნდა დაეძახათ, ის დაგვიძახეს — გეორგოს, გეორგოსო და ამ სახელითვე განავრცეს ჩემი სამშობლო; დიახ, გეორგია და არა ჯორჯია და თუ გეორგია ინგლისურად ჯორჯიად წარმოითქმის, ეს ამ ენის ერთ-ერთი ნორმაა და ჩემი ქვეყნის სახელს არ (ვერძ უნდა ვნებდეს; აქ, უბრალოდ, საჭიროა ინგლისური „ჯი" ქართულ გ-ანად განვასხვავოთ და თავზე შესაბამისი ნიშანი დავასვათ. ამ, საყოველთაოდ აღიარებული წესის შემოღების შემთხვევაში, ჩემი ქვეყანა ინგლისურად თავის ანტიკურ სახელს აღიდგენს (ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ საქართველო ისევ არ გამთლიანდება და „ივერია გაბრწყინდება".ძ და მეც გეორგიელი გავხდები, ესენი კიდევ, იყვნენ ჯორჯიელები, ვინ უშლით. აი, აგერ, „ჩიპუას" სკვერში ვზივარ და ინგლისის მეფის ჯორჯ მეორის ქანდაკებას ავყურებ, სულ ამ კაცის „ბრალია" ყველაფერი... ორი ჯორჯია არ მყოფნიდა? წელს ჟურნალ „ნეიშენალ ჯეოგრაფიკმა" მესამე ჯორჯიის, ე.წ. „საუთ ჯორჯიის" არსებობაც „მახარა", რომელიც, სადღაც, ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეების გასაყარზე, ანტარქტიდიდან მოშორებით, ზემოთ მდებარეობს. ერთი ვერანი, ხრიოკი კუნძულია, მაგრამ რადგანაც ესეც ინგლისელებს აღმოუჩენიათ, ისევ თავისი საყვარელი მეფის სახელი დაარქვეს.

ქალაქ სავანას ჯეფსონის საგამოფენო ცენტრმა დიდი გამოფენა-გაყიდვა გამართა. ჩავიცვი ჩემი შავი მაისური და წავედი. ერთმა მხატვარმა გამაჩერა, მაისურის წარწერით მიხვდა, რომ აქაური ჯორჯიელი არ ვიყავი და აი, რა მითხრა: ეგ საქმეს მაინც ვერ უშველის, ალაბამის შტატის მცხოვრებლებმა რომ გაიგეს ჯორჯიას რუსები დაესხნენ თავსო, მეორე დღეს იარაღის მაღაზიებში ერთი თოფიც არ დარჩენილა, ყველა გაიყიდაო... ამათთვის ყოველ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას დღესაც „რაშა" ჰქვია, უკრაინის და ბალტიის ქვეყნების გამოკლებით. ამ „ჯეფსონის" ცენტრში ერთხელ ისეთი უსიამოვნება შემემთხვა, იქიდან გამოსული ადამიანს კი არა, უფრო ატირებულ (?ძ მხეცს ვგავდი. ჩემს მეგობრებს იქ, მეორე სართულზე, კაფე გაუხსნიათ. მოვიკითხე და მენეჯერმა ქალბატონმა მითხრა, ჯერ არ მოსულანო. კეთილი-მეთქი, მადლობა მოვუხადე და ვემშვიდობებოდი, მაგრამ ვინ გაცალა — „ვიაარ იუ ფრომ-ო" — მკითხა. ჩემი შავი მაისური მეცვა, ახლოს მივედი, ეგება, წაიკითხოს-მეთქი, დავაყოვნე და მერე მივუგე — ქანთრი ოვ ჯორჯიიდან ვარ-მეთქი. ა, ა! ვიცი, ვიცი, რაშას ჯორჯიააო... უი, დედაია, მე კიდევ ეს მინდოდა? მთლად გადავირიე, სულ „სტუპიდ ამერიკან" ვეძახე და აცრემლებული გამოვიქეცი იქიდან 52 წლის კაცი...

ხალხი არა ხართ? გული მეწურება ამ ტკივილით; მითხარით, რა ჰქვია ჩემს სამშობლოს, როდემდე უნდა მიძახონ აქ, რაშა, რაშაო, მე ჩემი კაჟიანი ბროლოქეთი, ამერიკას კი არა, მთელ დედამიწას მირჩევნია...

მეორე დღეს თბილისში დავრეკე და ჩემს მეგობარს ვთხოვე, ჩემთვის ქართული სიმბოლოებით, ორი მაისური შეეკვეთა, ერთ-ერთი მათგანის ზურგზე კი ქართული ანბანიც დავაბეჭდინე. „სამშობლოსავით შემიყვარდები, ასე მღერიან ემიგრანტები." ტარიელ ჭანტურია — ასე აწერია ერთ-ერთს გულზე, მეორეს კი — „ქართული მარტო ენაა? ქართული ქართველთ რწმენაა, ღმერთია, სიყვარულია, ზღვა როა, იმოდენაა." მუხრან მაჭავარიანი — ეს არის ის პირველი ლექსი, რომელიც მე ჩემს ქალიშვილს ვასწავლე და გულზე ისედაც დიდი ხანა მეწერა. ტარიელ ჭანტურიას ლექსი კი, ჯერ კიდევ სამშობლოში ანაზდეულად ჩამებეჭდა გულში.

გახსოვთ, ალბათ, საქართველოს მთავრობამ ბალტიისპირეთის რომელიღაც ქვეყანას რომ მიმართა, საქართველო გრუზიად კი არა, ჯორჯიად მოიხსენიეთო. მათთვის ამ თხოვნას არასაკმარისი არგუმენტაცია აღმოაჩნდა და უარი თქვეს. ჰოდა, ამ სტატიის კვანძიც ეს არის: უნდა აღსდგეს ქართული ენის ნორმების დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც დაადგენს ნორმას, რომლის მიხედვითაც ჯორჯია, გეორგიად წაიკითხება, ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობა ჩვენთან დიპლომატიურ ურთიერთობაში მყოფ ყველა ქვეყანას აცნობებს „კომისიის" მიერ დადგენილ ცვლილებას და გეორგია ოფიციალურად ჩაანაცვლებს ჯორჯიას; ამით ქართველ ემიგრანტებსაც გვეშველება და კითხვას „ვიაარ იუ ფრომ", იმედია, ადეკვატური რეაქცია მოყვება. **სასურველია, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს, თორემ, მე ამ კითხვით გამწარებული, სამშობლოში დასაბრუნებელი ბილეთის ყიდვას, ისედაც მალე ვაპირებ.**

გიორგი მელუავა,
ჯორჯია, აშშ.

◉ დედოფლისწყარო

# მეეზოვეებმა ცოცხები დაყარეს!

**დედოფლისწყაროში მეეზოვეებმა პროტესტის ნიშნად ცოცხები დაყარეს და ქალაქის დასუფთავებაზე უარი თქვეს. ისინი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რისი მიხედვითაც დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები ნახევარ განაკვეთზე გადავლენ და ხელფასი გაუნახევრდებათ. ხელფასების განახევრებას სამსახურის უფროსი ზურაბ ყოჩიაშვილიც ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ ეს გარდაუვალია და უჩვეულო არაფერი ხდება.**



„სოფელ ჯაფარიძეში 2 თანამშრომლის საქმეს ვაკეთებ, ანუ დამატებითი ტერიტორიის დასუფთავებაც დამიმატეს, მაგრამ მაინც იგივე ხელფასს ვიღებ. ახლა ესეც უნდა გამინახევრონ," — აღშფოთებას ვერ ფარავს მეეზოვე დარეჯან ქარსამაული. იგივე აზრისა არიან მეეზოვეები ლამარა სულხანიშვილი, დოდო წიკლაური, გულო ჭინჭარაული, ლალი გულიაშვილი და სხვები, რომელთაც პროტესტი ღიად გამოხატეს და ცოცხები დაყარეს.

„ჩვენს სამსახურში 75 კაცია გაფორმებული და მხოლოდ 10 ადამიანი ვმუშაობთ. დასვენება ჩვენთვის არ არსებობს. შაბათ-კვირასაც გვამუშავებენ, სადღესასწაულო დღეებშიც დამატებით გვამუშავებენ, მაგრამ ეს ჩვენს ანაზღაურებაზე სულაც არ აისახება. მთელს რაიონს მხოლოდ 10 კაცი ვალაგებთ. გიორგი თეიმურაზოვი მეეზოვედ ჰყავთ გაფორმებული, ხელფასს იღებს. თუმცა, ის ჩვენს უფროსობას ითავსებს და დაგვყვირის თქვენი ბრიგადირი ვარო."- მეუბნებიან შპს „სერვისი 2007"-ის მუშები ტრისტან ფილაური, სიმონ სუნტიძე, ლონგო ყოჩიაშვილი, შოთა კოპლატაძე და სხვები.

დასვენების დღის დაწესებასა და ანაზღაურების გაზრდას ითხოვს დასუფთავების სამსახურის მძღოლი სპირიდონ ჯორკოშვილიც. ორიოდ დღის წინათ მუშაობის დროს ერთ-ერთმა მეეზოვემ გონება დაკარგა და სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება გახდა საჭირო. მძღოლი ამბობს, რომ ეს სისუსტემ და გადაღლილობამ გამოიწვია: „შაბათ-კვირასაც არ ვისვენებთ. ძალიან გადავიღალეთ, ხელფასსაც გვიგვიანებენ და დასუსტებული ვარ. ვნატრობ უკვე, რომ შემცირება შემეხოს და გამათავისუფლონ. ცარიელი ტომარა ფეხზე დადგება? ასე ვართ ჩვენც...

მეეზოვეების ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს ექს-ლეიბორისტი, ამჯერად დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახურის შპს „სერვისი 2007"-ის უფროსი ზურაბ ყოჩიაშვილი.

„შაბათ-კვირას ნამდვილად მუშაობენ, მაგრამ სამაგიეროდ, რიგ-რიგობით სხვა დღეებში ისვენებენ ხოლმე. უსაფუძვლოა, ბრალდებები იმის შესახებ, რომ შტატი გაბერილია. ნებისმიერ დროს შემიძლია მსურველებს საშტატო ნუსხა წარვუდგინო. მინდა გითხრათ, რომ სხვა რაიონებში ამ სამსახურის თანამშრომელთა ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე დედოფლისწყაროში. რაც შეეხება ხელფასის განახევრებას, გასაგებია, რომ მეეზოვეები პროტესტს გამოხატავენ, მაგრამ სხვა ხელმძღვანელების დროსაც ყოველ წელს ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ჩვენი სამსახური ნახევარ განაკვეთზე გადადიოდა და ხელფასები უნახევრდებოდათ ხოლმე. უჩვეულოს არაფერს ვგეგმავთ, ახლაც ჩვეულებრივად ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ანაზღაურება დროებით გაუნახევრდებათ. ჩვენ მეეზოვეთა ხელფასებით დედაქალაქს ვერ გავუტოლდებით, იქ სხვა მასშტაბები და ფინანსებია," — აცხადებს ზურაბ ყოჩიაშვილი.

ხელმძღვანელის განცხადების საპასუხოდ მუშები ირწმუნებიან, რომ ოფიციალურად დასვენების დღე მათთვის არ არის გათვალისწინებული.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## „პატიოსანი გადამხდელები" დააჯილდოვეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა „პატიოსანი გადამხდელის სერტიფიკატით" ხუთი ქართული კომპანია დააჯილდოვა.**

**ეს კომპანიებია: შპს „შარავანდი", შპს „ფეშენ ჰაუზი", შპს „ხაშმი", შპს „დაგი-777" და ი/მ „ტარიელ გოგიტიძე".**

**აღნიშნული კომპანიების დაჯილდოვება კარგმა საგადასახადო ისტორიამ განაპირობა. ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობა ბიზნესს თანამშრომლობისთვის ასეთი ფორმით აჯილდოვებს.**

**როგორც პრემიერმა გილაურმა განაცხადა, ასეთი გადამხდელების მიერ გადახდილი გადასახადები საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტულ და სასიცოცხლო მნიშვნელობის პროგრამებს ხმარდება.**

**— ესეთი დაჯილდოვებები ყოველ სამ ან ექვს თვეში მოხდება. ამ კომპანიებს არანაირი დარღვევა არ ჰქონდათ გადასახადებთან დაკავშირებით. ეს კომპანიები სახელმწიფოსგან დიდი ნდობითა და მეტი პრივილეგიებით ისარგებლებენ, — განაცხადა ნიკა გილაურმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

გულის ბუხარი

# დედები არა გყავთ, დოქსოპულოებო?!

*არ მითხრათ ახლა, სათაურად გამოტანილი სიტყვები გაცვეთილია, მოძველებულიო. განა დღე ისე გავა, რომელიმე დოქსოპულომ, უფრო მართებულად თუ ვიტყვით, პატარა მიშუკამ ისეთი რამე არ მოიმოქმედოს, ისეთი უბედურება არ დაახეთქოს, მთელი დღე ლოთიანად გინების ხასიათზე არ დაგაყენოს — თქვენი დედაცო?!*

*აი, ახლაც, ჩემი მეგობარი ალექსი მობილურით შემეხმიანა, — დრო თუ გაქვს, შემომიარეო. ხმაზე შევატყვე, როგორც ყოველთვის რაღაც მჟავე ინფორმაციას მთავაზობდა. ადრეც ვთქვი, ჩემი უჰონორარო, შტატგარეშე კორესპონდენტია-მეთქი.*

და აი, ვზივართ მის მომცრო კაბინეტში. პრიალა ფურცელს მაწვდის, რომელზეც ლამაზი კალიგრაფიით წერია: **პირველი იანვრისთვის ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთი იქნება 1 მილიარდ 47 მილიონი?** დიახ, ბოლოში კითხვის ნიშნით.

**— ეგ რას ნიშნავს?** — მზერას ვუსწორებ, ერთბაშად ვერ ვხვდები, რას მთავაზობს.

— ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილის სიტყვებია, არ უყურებ მიშას ტელევიზიებს?

**— სიმართლე გითხრა, ძალიან იშვიათად... და მაინც?**

— რა და, თუ სახელმწიფოს ამხელა თანხა აქვს ბიუჯეტში, რა იქნება, ერთხელ მაინც გააკეთონ კაცური საქმე და დამშეულ პენსიონერებს ხუთ-ხუთი ლარი მაინც დაუმატონ ამ საახალწლოდ?

**— მერე რას მოგვცემს ეს ხუთი ლარი, ვითომ სუფრას გაабარაქიანებს?.. ერთ კილო წიწიბურასლა თუ იყიდი, ირანიდან შემოტანილი ნიორი 12 ლარი ღირს, ყველი — რვა ლარი, ერთ კარგ გოჭს ორი თვის პენსიაც ვერ გასწვდება.**

— კაცს მცირედიც ყოფნის, იმედი გაუჩნდება, შარშან თუ იმის წინ 100 დოლარის ეკვივალენტ პენსიას გვპირდებოდნენ, ისიც რომ მოეცათ, სხვა რომ არაფერი, გაზის, შუქისა და წყლის გადასახადს მაინც მოილევდა ამდენი უმუშევარი და ღატაკი...

**— ჰო, მართლა,** — ვაწყვეტინებ, **— ჩვენს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამოვიკითხე, რომ საქართველოში 80 ათასი 60 წელს გადაცილებული, ხოლო მათი ნახევარზე მეტი 70 წელზე უხნესი ხანდაზმული ყოფილა.**

— მეც წავიკითხე. ეს ის თაობაა, რომელიც მუხლმოუხრელად აშენებდა ქვეყანას, ქმნიდა მძლავრ ეკონომიკას, ბრწყინავდა მეცნიერება, ხელოვნება, სოფელი ლაღობდა ხვავითა და ბარაქით, ჩვენი თაობის ნაოფლარით ახლა ეგენი ჯიბეებს ივსებენ — ყიდიან შენობა-ნაგებობებს, სკოლებს, საბავშვო ბაგა-ბაღებს, უმაღლეს სასწავლებლებს თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობებს, ანადგურებენ უნიკალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს. — ალექსს სახე წამოუჭარხლდა. აბა, დააკვირდი, ხომ გინახავს, დედა ბატი თავის ჭუკებს რომ დაატარებს? წყალში

### ღმერთმა ქნას, ეს კვამლი უცეცხლოდ იყოს გაჩენილი!

შევა დედა, ისინიც მიყვებიან. ნაცებიც ეგრე არიან: მიშა დაახეთქებს, მსოფლიოში პირველები ვართო, პატარა მიშუკებიც ეგრევე დაიძოძებიან.

**— აგერ ბენზინსაც მოუმატეს ფასი,** — ცეცხლზე ბენზინი გადავასხი, **— ახლა ისევ წავა ჯაჭვური რეაქცია, უჩუმრად, უხმაუროდ ყველაფრის ფასი აიწევს, ალბათ ძალიან მძიმე ახალი წელი დაგვიდგება.**

— ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ჩვენნაირი დაბალი ხელფასი, მაღალი გადასახადი და მაღალი ფასები. ახლახან იტალიიდან ჩამოვიდა ერთი ჩემი ახლობელი, იქ ათასი ევროზე მეტი ხელფასი აქვს, ერთ მოხუცს უვლის. ჩვენი ფასები რომ ნახა, გაგიჟდა, ასეთი ფასები იქ არ არისო, ალბათ სომალიში თუა ასეთი მდგომარეობა. აშკარა გენოციდს გვიწყობენ! თუ კაცი ხარ, ნუ მალაპარაკებ! ეს შენც იცი, ყველამ იცის, ყველა ხედავს, რა კატასტროფის წინაშე ვართ, შენ ეგ მითხარი, საშველი რაა! ჩვენი პრეზიდენტი კი დაგრიალებს, დაფრინავს, რასაც უნდა, იმას აკეთებს, რაც გინდა თქვი, „მიშა მაგარია!“

მართლაც, პასუხი არც მე აღმომაჩნდა, და ამ წერილსაც აქვე დავასრულებდი, რომ არა ერთი სკანდალური ამბავი.

### ეგ კი ცალკე საუბრის თემაა!

**პოპულარულ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ჩემი ახალგაზრდა კოლეგის, მამაცი და ნიჭიერი ჟურნალისტის ჯაბა ხუბუას მამხილებელი წერილი „გრეჩიხას“ ანუ იგივე ლევან გაჩეჩილაძისადმი, ბომბივით გასკდა. ამან თვით წიწიბურას მაღალ ფასზე მეტად დასცა ოპოზიციის ამ ცნობილი ლიდერის პოპულარობა. არადა, როგორ ვენდობოდით, როგორ გვჯეროდა მისი.**



ნუთუ ეს მართალიაო, — იჭვნეულად მეკითხებიან გაოგნებულნი.

თითქოს უფალმა მომისაჯა პროფესიონალი მომიტინგეობა. ჯერ კიდევ 1956 წლის სისხლიან 9 მარტს სასწაულებრივად გადავურჩი სიკვდილს.

მას შემდეგ თითქმის არც ერთი მიტინგი არ გამომიტოვებია, სხვაგვარად არ ძალმიძს, რადგან მგონია სამშობლოს დღეს იქ ვჭირდები. სხვათა შორის, ჩემი უმცროსი ძმა მურთაზ ჯახუაც ასეა. საკუთარი სიცოცხლე მამულის, მშრომელი ერის სამსხვერპლოზე, თუ კი მას დასჭირდება, უშურველად მიგვაქვს.

ამიტომაც თითქმის ყველა იმ მიტინგის ორგანიზატორი, თუ გნებავთ, ბელადები დავარქვათ, გულწრფელი და სამშობლოსთვის სამართლიან მებრძოლად მიმაჩნდა. დიახაც, ასეთები იყვნენ იმ ავბედითი 1956 წლის მიტინგის ლიდერები, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, მათ თანამებრძოლთა პატრიოტიზმში ეჭვის შეტანაც კი მკრეხელობა იყო. აი, ვარდების რევოლუციამ, იმ ყინვიანმა ნოემბრის მიტინგებმა კი დიდი უბედურება დაგვატეხა თავს. ამის მერე თითქოს მიტინგებზე გული უნდა გაგვტეხოდა, მაგრამ...

თუმცა მთავარს დავუბრუნდები. ჰიპოდრომზე სამასი ათასიანი (დიახ, 300-ათასიანი, და მე ამას დღესაც დავამატებ, რომ იქ ბევრად მეტი კაცი და ქალი იდგა, დიდი თუ პატარაძ მიტინგი გუგუნებდა. ეს იყო საოცარი შემართება, ფეხზე დამდგარი საქართველო. აი, ახლახან ლამის მსოფლიო შეძრა 10-მილიონიან მოსკოვში 70 ათასი მომიტინგის გამოსვლამ. დიახ, რუსეთი ისევ იმპერიაა და ამხელა ქვეყანაში 700 ათასიც და მილიონიც რომ გამოსულიყო სამიტინგოდ, მაინც ვერ მოვიდოდა ჩვენს ჰიპოდრომელებთან.

მართალია, იმ დღეს მიტინგის წაყვანა „პადოშას“ევალებოდა, რომელიც თურმე შემოგზავნილი ყოფილა, მაგრამ ოპოზიციური პარტიების ლიდერთა შორის გამორჩეულად ლევან გაჩეჩილაძე ითვლებოდა, საპრეზიდენტო არჩევნებში ლამის გამარჯვებული, უტიტულო პრეზიდენტი. მერე ის ქნეს, რომ სააკაშვილის ინაუგურაცია წარმატებით ჩაატარებინეს, ჩვენ კი უპატრონო ცხვრებივით დაგვშალეს, თორემ ის სახალხო ლაშქარი, ეს გაბრაზებული ხალხი იქიდან რომ დაძრულიყო, რუსთაველამდე ნახევარ მილიონად იქცეოდა.

**სწორედ მაშინ გაიჟღერა პირველად გაჩეჩილაძის მიმართ მეტად საეჭვო ხმებმა.**

და ერთიც: იმხანად ოპოზიციის ლიდერებმა პარლამენტის წინ შეკრებისკენ მოგვიწოდეს, იქაც ბევრი ხალხი მივიდა, მიტინგზე ლიდერები ყოყმანობდნენ, „გრეჩიხა“ იგვიანებდა, ვიღაცებთან მოლაპარაკებაზეაო. ბოლოს გამოჩნდა, ტრიბუნიდან როგორღაც ცივად გვითხრა, ახლა დაიშალეთ, წადით სახლებში და, როცა დაგვჭირდებით, დაგიძახებთო.

სცენიდან ჩამოსულ (დიახ, თურმე სცენა იყოძ ლევან გაჩეჩილაძეს ერთი ასაკოვანი ქალბატონი მივარდა, — პურის ფული დავზოგე, „მარშუტკის“ საფასური რომ გადამეხადა და გარდაბნიდან რისთვის ჩამომიყვანეთ, თუ არაფერს აკეთებდითო!

მე იქვე ახლოს ვიდექი, ლევანმა ცივი ხმით უპასუხა, მეტად არასასიამოვნოდ, მაგრამ ის მაინც ლიდერად მიმაჩნდა და...

26 მაისს რომ მაინც იმდენი ხალხი მოვიდა, მიუხედავად ჰიპოდრომის იმედგაცრუებისა, გვიხაროდა, აი, ახლაც შევძელით ერთად დგომა, რჩეული საქართველო კვლავ ფეხზე დგასო.

მერე იმ დღეს რაც მოხდა, ყველამ იცის. **ის დღეც ასევე გაჩეჩილაძეებს დაბრალდა.** თუმცა ხალხი მაინც მიმტევებელი იყო.

აი რატომ აალელვა და შეაშფოთა ჩემს ირგვლივ ათობით თუ ასობით ადამიანი „ასავალ-დასავალში“ ჯაბა ხუბუას წერილმა. მთავარი ძმები გაჩეჩილაძეები როდია — დღეს ნაღდ ქართველობას, ვინც ჯერ კიდევ მზადაა ქვეყნის გადასარჩენად ბრძოლისთვის, ვისაც ემეტება საკუთარი სიცოცხლე, ოღონდ გადავარჩინოთ სამშობლო, მომავალი თაობა, ვიხსნათ კატასტროფისგან, უიმედობა და სასოწარკვეთა ეუფლება — ბოლოს და ბოლოს, ვინ არის იგი, ვისაც შეიძლება გავყვეთო, ხოლო ისინი, რომლებიც გვეუბნებიან, ბელადს ნუ ელოდებითო, ან ცდებიან ან...

ხალხს წინამძღოლი სჭირდება. მე არ მინდა აქ ცნობილი აფორიზმი მოვიშველიო. უმეთაუროდ, უწინამძღოლოდ მყოფმა ქართულმა ჯარმა ცხინვალთან რა მარცხიც იწვნია, სამაგალითოდ ეს გაკვეთილიც გვეყოფა, მგონია...

**ღმერთმა ქნას, „ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილი ჭორი გამოდგეს. პოეტისა არ იყოს, საქართველოს ვინ მისცა შვილი დასაკარგავი! ისიც ღალატის ბრალდებით!!**

**გივი ჯახუა**

დედოფლისწყარო

# მეეზოვეებმა ცოცხები დაყარეს!

(მესამე გვერდიდან)

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. წლეულს პირველად დასუფთავების სამსახურმა მოსახლეობისგან ყოველთვიური მოსაკრებლის 100 პროცენტით ამოღება შეძლო და ამან 30 000 ლარი შეადგინა. ამას გარდა საკრებულოს ბოლო სხდომაზე შპს „სერვისი 2007“-ს დაფინანსება დამატებით კიდევ 8 000 ლარით გაეზარდა, თუმცა ხელმძღვანელობამ ხელფასების განახევრების გადაწყვეტილება მაინც მიიღო.

ზოგადად, დედოფლისწყაროში ქალაქის დასუფთავების სამსახურის, შპს „სერვისი 2007“-ის მისამართით ეჭვები და მითქმა-მოთქმის საბაბი მუდმივად არსებობს. თავად ამავე ორგანიზაციაში დასაქმებული მუშები არ მალავენ, რომ ხელმძღვანელობას შტატები ხელოვნურად აქვს გაზრდილი და ხელფასს ისეთი ადამიანები იღებენ, რომლებიც თვალით არასოდეს უნახავთ.

ამ ფონზე მეტად საინტერესო და მრავლისმთქმელი იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომა, სადაც გაირკვა, რომ დასუფთავების სამსახურს დაფინანსება გათვალისწინებულის გარდა კიდევ 8 ათასი ლარით გაეზრდება. მიზეზად საწვავის სიძვირე დასახელდა. სხდომაზე ასევე ითქვა, რომ გარეგანათების ბოძებზე დამატებითი ნათურები დამონტაჟდა, რამაც გაზარდა როგორც ნათურების, ისე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. სხდომაზე შპს „სერვისი 2007“-ის ბუღალტერმა ერთი საინტერესო გარემოებაც აღნიშნა. მისი თქმით, სამსახურისთვის გამოყოფილი დაფინანსების 80 პროცენტი მთლიანად სახელფასო ხარჯებს ხმარდება, რაც წარმოქმნილ ეჭვებს კიდევ ამძაფრებს.

საინტერესოდ გამოიყურება შპს „სერვისი 2007“-ისთვის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფის ქრონოლოგია. გამგეობაში გამოცემული ბრძანებების ასლები დედოფლისწყაროს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა იანა იანვარაშვილმა მოგვაწოდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმდინარე წლის 4 ნოემბრის ბრძანება № 489-ით ქალაქის დასუფთავების სამსახურს — შპს „სერვისი 2007“-ს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარემოს დაცვისთვის გათვალისწინებული ხარჯებიდან 19 931 ლარი გამოეყო. იმავე დღეს კიდევ რამდენიმე ბრძანება გამოიცა, რის მიხედვითაც თანხები ისევ დასუფთავების სამსახურისკენ მიიმართა. ასე მაგალითად: ბრძანება № 490-ის მიხედვით ოქტომბერში ქ. დედოფლისწყაროს, ასევე სოფლების ჯაფარიძისა და წითელწყაროს დასუფთავების მოსაკრებლის ბიუჯეტში ადმინისტრირების მიზნით შპს „სერვისი 2007“-ს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო 835 ლარი.

ამას გარდა, იმავე დღეს, მომდევნო ბრძანება №491-ის მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეგანათების მომსახურებასა და ექსპლუატაციის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტის საბინაო-კომუნალური მეურნეობის გარეგანათებისთვის გათვალისწინებული ხარჯებიდან შპს „სერვისი 2007“-ს კიდევ 10 159 ლარი გადაერიცხა.

ოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ წელს დასუფთავების სამსახურმა მოსახლეობისგან მოსაკრებლის სახით 30 ათასი ლარი ამოიღო. საკრებულოს სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა გადასახადების 100-პროცენტიანი ამოღება მოხერხდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ბიუჯეტიდან დამატებითი თანხები მაინც გამოიყო.

**ილია მარტყოფლიშვილი**

ინფორმაცია

### 100-დოლარიან საპენსიო სისტემაზე გადასვლისთვის საჭირო ტექნიკური საკითხები მომავალი წლის ივლისამდე მოგვარდება

**ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა პარლამენტში, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენისას განაცხადა.**

**— 2011 წელი იქნება სერიოზული მომზადების წელი, იმისთვის რომ საბოლოოდ გადავიდეთ 100-დოლარიან საპენსიო პაკეტზე. ამისთვის ძალიან ბევრი, ძირითადად ადმინისტრაციული სახის რეფორმაა გასატარებელი. ჩვენი ვარაუდით, ყველა საჭირო პროცედურა ივლისამდე დასრულდება, — განმარტა ბაინდურაშვილმა.**

**შეგახსენებთ, რომ 100-დოლარიანი საპენსიო პაკეტი ხელისუფლების მიერ პენსიონერებისთვის მიცემული ერთ-ერთი დანაპირებია, რომელიც მიმდინარე წლიდან უნდა ამოქმედებულიყო.**

ჯი-ეივ-ენი

**◉ სად წაიყვან სადაურსა**

# ქართველი კაცი - სახელგანსმენილი ევროპელი

**მკითხველს მოვუბოდიშებ ჩემი პუბლიკაციის გახსენებისათვის, მაგრამ ახლა ეს მჭირდება: „სრ“-ის 28 ოქტომბრის ნომერში დაისტამბა წერილი გამოჩენილ ისტორიკოსზე, დიდი ივანე ჯავახიშვილის უსაყვარლეს მოწაფეზე ლევან მუსხელიშვილზე. ჩვენს ასევე გამოჩენილ ისტორიკოსთან, აკადემიკოს დავით ლევანის ძე მუსხელიშვილთან ცხონებულ მამაზე საუბრისას ბატონმა დავითმა ევროპული მასშტაბის მოღვაწე ბიძაც ახსენა, მიხეილ მუსხელიშვილი, „დასავლურად“ — მიშელ მუსხელი.**

ეს კაცი გახლდათ ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, ფედერალისტური მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ქვეყნების კვლევის ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, რომელსაც სტრასბურგში დღემდე თურმე მუსხელის ცენტრი ჰქვია. მიშელ მუსხელი სპორტსმენი — მთამსვლელიც ყოფილა და ალპებში დაღუპულა 1964 წელს.

...სხვა დროს, თუ გნებავთ, კიდევ უფრო ვრცლად გავაცნოთ მკითხველს, ღმერთმანი, ღირსიაო“ — ბრძანა მაშინ ჩემმა მოსაუბრემ. გნებავდა და აგრე? მგონი, არც მკითხველი იქნება წინააღმდეგი, ეს დრო რომ „მოვიყვანოთ“... აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა ფრიად საგულისყურო მასალა მომაწოდა სახელოვან ბიძაზე და რა კარგია, რომ ის ასე სათუთად ეკიდება ღირსეული სისხლხორცეული ახლობლის ხსოვნას.

გაცნობის განვრცობა კი დავიწყოთ ზემოთ მოყვანილ წოდებულებათა ნუსხის შევსებით: მიშელ მუსხელი გახლდათ აგრეთვე ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ფუძემდებელი და ორჯერ არჩეული გენერალური მდივანი იმავე გაერთიანებისა, გახლდათ „აკადემიური პალმის“ ჯილდოს კავალერი.

თარიღებში გამოხატული რამდენიმე ბიოგრაფიული დეტალი: 1921-ში 18 წლის სრულიად ახალგაზრდა მიხეილ მუსხელიშვილი საზღვარგარეთ მიემგზავრება; უმაღლეს განათლებას გეტინგენის, მიუნ-



ხენის, ლიონის, პარიზის სასწავლებლებში ეუფლება; 1932-1933 წლებში, უკვე მიშელ მუსხელად მონათლული, მოღვაწეობს პარიზის უნივერსიტეტში, 1935-1948 წლებში — ქაიროს უნივერსიტეტში; 1948 წლიდან სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორია და საერთაშორისო საჯარო სამართლის კათედრას განაგებს.

მან დიდად გაუსწრო თავის დროს და ევროკავშირისა თუ ევროგაერთიანების იდეით ატაცებულმა, მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ევროპული ფედერალიზმის, ფედერალისტური მოძრაობის, ახალი ევროპის კონსტრუქციის საკითხებს. საგულისხმოა, რომ მიშელ მუსხელის უკანასკნელ მონოგრაფიას ერქვა „ფედერალური სტრუქტურები“.

აქ ნათქვამთან კავშირში მოგვყავს ერთი საინტერესო დეტალი: „1950 წლის 6 აგვისტოს სტრასბურგში, ევროკონფერენციის გახსნის წინადღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300-მა სტუდენტმა ევროგაერთიანების მხურვალე ინიციატორის მიშელ მუსხელისა და კიდევ 3 სხვა პროფესორის გაძღოლით მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა. „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ. დიდი ცეცხლი ახლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს“ — უთქვამს მაშინ მიშელ მუსხელის...

ის იტალიის ალპებში მწვერვალ სერვინის (3378 მ.ძ დაპყრობის შემდეგ დაშვებისას გადაიჩეხა. 61 წლის პროფესორის ტრაგიკულ აღსასრულს ფართო გამოხმაურება მოჰყოლია, წუხილისა და ტკივილიანი ემოციების გამოხატვით, მთელს ევროპულ პრესაში, კერძოდ, ისეთ გავლენიან ფრანგულ გაზეთებში, როგორიც „მონდი“ და „ფიგაროა“. აი ზოგიერთი ამონარიდი: „პირადი ვაჟკაცობა და შემართება, გასაოცარი ენთუზიაზმი, ინტელექტუალური სიმდიდრე შეადგენდა, ხასიათის სიძლიერესა და ნებისყოფის სიმტკიცესთან ერთად, ამ შესანიშნავი პიროვნების თვისებებს“; „უნივერსიტეტთა სამყაროსათვის, ევროპულ მოძრაობათათვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია“; „მიშელ მუსხელის დაკრძალვამ გვიჩვენა, თუ რა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა იგი კოლეგებსა და სტუდენტებში“; „მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ნათელი ნიჭისა და მაღალი კვალიფიკაციის პროფესორი, სულიერებით, კეთილშობილებით, გონიერებით გამორჩეული“...

...მიშელ მუსხელის გარდაცვალების წლისთავზე ორი რომაელი სტუდენტი ასულა მონბლანზე და ერთიანი ევროპის დროშა აუფრიალებია. ეს აქტი საყვარელი სტრასბურგელი პროფესორის ხსოვნისათვის მიუძღვნიათ...

**თამაზ ებანოიძე**

**◉ ინფორმაცია**

## სამი საავადმყოფოს რეაბილიტაცია წელს დასრულდება

**ჟვანიას სახელობის პედიატრიული საავადმყოფოს, ალადაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკის და სანიკიძის სახელობის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის რეაბილიტაცია წელსვე დასრულდება.**

**ამის შესახებ პარლამენტის სესიაზე 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენისას განაცხადა.**

**სამივე აღნიშნული სამედიცინო დაწესებულება ერთად ევროპული სტანდარტების შესაბამის 240 საწოლს შექმნის.**

**— მიმდინარე მშენებლობებს მომავალ წელს მე-2 სამშობიარო სახლის, ტრავმატოლოგიური კლინიკის და თბილისის მე-2 მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს რეაბილიტაციაც დაემატება, რომლის დასრულების შემდეგაც, სამივე შემთხვევაში ერთად, ასევე თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი 240 საწოლი შეიქმნება, განმარტა ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა.**

**რაც შეეხება რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორიაზე განსათავსებელ საავადმყოფოებს, მინისტრის თქმით, 5 კლინიკის რეაბილიტაცია თითქმის დასრულებულია, რაც დამატებით 275 საწოლს ქმნის, დარჩენილი საავადმყოფოების მშენებლობა კი, რომელიც 2011-ში გაგრძელდება, ჯამში 137 საწოლს მოგვცემს.**

## დანაშაული, რომ არ იყოს ბიუჯეტს რა შეავსებდა

**2010 წლის იანვარ-სექტემბერში საპროცესო გარიგებებიდან ბიუჯეტში 30 მილიონი ლარი გადაირიცხა, ამის შესახებ განცხადება ფინანსთა მინისტრმა საპარლამენტო სესიაზე გამოსვლისას გააკეთა.**

**— 2010 წლის 9 თვეში ჯარიმებიდან ბიუჯეტში შესულია 30 მლნ. ლარი, რაც არის საპროცესო გარიგებებიდან მიღებული თანხები, რომელიც უშუალოდ ბიუჯეტშია გადმორიცხული. ასეთი თანხები პირდაპირ ბიუჯეტში არ მიემართება. ეს თანხები თავდაპირველად სატრანზიტო ანგარიშებზე ირიცხება, რადგანაც ვიდრე არ დასრულდება სასამართლო პროცესი მანამდე აღნიშნული თანხები სახელმწიფოს კუთვნილ თანხებად არ ითვლება — განაცხადა კახა ბაინდურაშვილმა.**

**აღნიშნული განცხადება მინისტრმა „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიას საპასუხოდ გააკეთა — ბაღათურია დაინტერესდა რა თანხაა საპროცესო გარიგებებიდან ბიუჯეტში შესული.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

**◉ გვწერენ**

# მართლაც, ოქროსხელება დასტაქარი

**იმაზე ღირსეული, კეთილშობილური და პატივსაცემი საქმე თითქმის არ არსებობს, იბრძოლო სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე და ადამიანს დაუბრუნო სიცოცხლე, ასეთი ექიმი ჰიპოკრატეს თქმისა არ იყოს, ზეკაცია და ყველასაგან პატივსაცემი.**

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა სენაკელთათვის საყვარელი ხელოვანის, კოლორიტი პიროვნების, ბატონი ლერი ჯალაღონიას ავადმყოფობამ და მისმა გადამრჩენელმა ოქროსხელება დასტაქარმა, მედიცინის დოქტორმა, აკადემიკოსმა ომარ ღიბრაძემ.

სენაკში ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა ბატონ ლერი ჯალაღონიას მძიმე ავადმყოფობის შესახებ, შეწუხდნენ მეგობრები... ყველა, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სცენაზე ჭეშმარიტი ხელოვანი და სიამოვნება მიუღია მის მიერ ნათა-



მაშები როლითა თუ წაკითხული ლექსით.

როცა ბატონი ლერის ჯანმრთელობა მოვიკითხე, მან ავადმყოფისთვის ჩვეული ჩურჩულით მიპასუხა: „ერთი ღვთისნიერი კაცის წყალობით, მგონი სიცოცხლე დავიბრუნეო“ და მის თვალებში იმედის სხივი დავინახე. ნაამბობმა სურვილი აღმიძრა, ექიმისთვის სენაკელთა სახელით მადლობა გადამეხადა.

ბატონმა ომარმა გააკეთა პირველი ურთულესი ოპერაცია და შეამზადა იგი მორალურად და ფიზიკურად მეორე ოპერაციისთვის. გაკეთდა მეორე ოპერაციაც... გადარჩენილი ავადმყოფი... მეორედ მინიჭებული სიცოცხლე... სენთან შერკინებული და გამარჯვებული დასტაქარი.

ბატონი ომარის მზრუნველობა, სითბო და მადლიანი ღიმილი მალამოდ ედებოდა ლერის ნაჭრილობევ სხეულსა და სულს. ყოველივე ეს იმედსა და ცხოვრების სურვილს უჩენდა.

მართლაც, დიდი ბედნიერებაა შენგან გადარჩენილი, ხელახლა სიცოცხლემინიჭებული ადამიანის აუწერელი სიხარული და თბილი მადლობა, რომელიც ყველაფერს აქარწყლებს, ავადმყოფის თვალებში ამოკითხული მადლიერება ღირს იმ უსაზღვრო გარჯად, რომელიც დასტაქარმა გაიღო.



ეს არაჩვეულებრივი ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს ქუთაისში. იგი ერთნაირად ეიმედებათ და ეამაყებათ მისი მადლიანი და კეთილი საქმეების გამო, როგორც ქუთაისში, ისე მთელ საქართველოში.

ომარ ღიბრაძე არის ფართო სპექტრის ქირურგი, პროფესორი, აკადემიკოსი, მისი დამსახურებისა და წოდების, სამეცნიერო მოღვაწეობის ჩამოთვლა ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია. იგი 64 მეცნიერული შრომისა და 4 რაციონალური წინადადების ავტორია. აქტიურად მოღვაწეობს საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, ჩინეთის და მსოფლიოს ქირურგთა ასოციაციის კონგრესებზე, მისი მოხსენებები ყოველთვის არის აქტუალური და ჯილდოვდება საპატიო დიპლომებითა და მედლებით. ბატონი ომარი სამართლიანად და დამსახურებულად არის ოქროს სკალპელის მფლობელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არის საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი და ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

თუ მოწოდებით ექიმი ხარ, სხვისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო, სხვისი ტკივილი გტკიოდეს და სხვისი სიხარული გიხაროდეს... ძნელია იპოვო ისეთი ქუთათური, ომარ ღიბრაძეს არ იცნობდეს ან არ სმენოდეს მის პროფესიონალიზმზე და ღვაწლზე, დამსახურებაზე და იმ გულის სითბოზე, ასევე უშურველად რომ გასცემს.

ბატონ ომარს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს თავის კოლექტივთან, ამბობენ, „შიში შეიქმს სიყვარულსო“, მაგრამ ბატონ ომარის შემთხვევაში ასე არ არის, მისდამი სიყვარული დამსახურებაა ადამიანური, პიროვნული თვისებებისა. სამედიცინო პერსონალი სიყვარულით და რიდით ექცევა აკადემიკოს ომარ ღიბრაძის ყოველ მოქმედებას და ცდილზს მისი მითითება და რჩევა არ დარჩეს უყურადღებოდ.

ომარ ღიბრაძეს ლამაზი ბიოგრაფია აქვს. მან ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, გულმართალ და თავისი საქმის ერთგულ კაცს რომ შეეფერება. მისი ცხოვრების კრედო ჰიპოკრატეს ფიცი, ერთგულება და პატივისცემაა, რისთვისაც ალალად დაიმსახურა მრავალი ჯილდო, მადლობა და ყველაზე მთავარი, გადარჩენილი ადამიანების, ქუთათურების, თანამშრომლების პატივისცემა.

ომარ ღიბრაძეს ტრადიციული ოჯახი აქვს. ნამდვილად ბედნიერია ეს თეთრხალათიანთა ლამაზი ოჯახი, მეუღლე გულიკო მაღლაფერიძე, ექიმი-რევმატოლოგია, ქალიშვილი ელისაბედ ღიბრაძე — რადიოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი და ბაბუის ყველაზე საყვარელი არსება, შვილიშვილი, რომელიც იქნებ მისი პროფესიის გამგრძელებელიც გახდეს.

„როცა ვზრუნავთ სხვის ბედნიერებაზე, ვპოულობთ საკუთარს“ — ამბობს პლატონი და მართლაც, ეს ოჯახი ღირსია ბედნიერი იყოს.

**მინდა ბატონ ომარს სენაკელთა სახელით ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე, გულწრფელი მადლობა მოვახსენო სიცოცხლის სადარაჯოზე გათენებული ღამეებისთვის, უანგარო და მაღალი პროფესიონალიზმისთვის, კეთილი გულისა და მადლიანი მარჯვენისთვის.**

**ყველაფრისთვის გმადლობთ, მკურნალო!**

**დარეჯან გვარამია,**
სენაკი.

◎ პოეზია

# გურამ (კოია) გომართელი

# ძველი რვეულიდან



### სიმღერით ნათქვამი

დამხობილი ვარ ქართულ მიწაზე,
მასულიერებს მწვანე ბალახი,
სანამ გავედი ცხოვრების გზაზე,
კლდის პირი მქონდა გადასალახი.

თუმცა სად არის გზა გატკეპნილი,
ჩასაფრებულა ღორღი და ზვავი,
არც უმწიკვლო ვარ, არც წაწყმედილი,
ვარ წუთისოფლის რიგითი მგზავრი.

ჩემი ცხოვრების გზებს ვერ ვქარგავდი,
მაგრამ ჩემებურ ხაზებს ვავლებდი,
აქამდე თუკი ჩემს თავს ვმართავდი,
ვგრძნობ, ნაცარივით როგორ გავნელდი.

ვერ ვამბობ იმას, რაც მკლავს,
რაც მახრჩობს,
ახია ჩემზე, რაც მომივიდა,
როცა სხვა მღერის, მე ვტირი მაშინ,
და ახლოს მდგომიც არავინ მინდა.

... სიზმარში ვხედავ წინაპრის აჩრდილს,
სპეტაკს და მართალს, ნაფურთხებს სულში,
არ ამბობს თავის დარდსა და სამხილს
და უყრის კისერს გასანთლულ ყულფში.

### ნუღარ დარეკავ!

**გრიშაშვილისეური**

ნუთუ შენ ის ხარ, რომ მომწონდი,
ნუთუ შენ ის ხარ?

შენთან ყოფნისთვის მე განგებამ
ერთხელ შემრისხა!
რად მოგაგონდი?
არც ხმა შეგცვლია, არც სიცილი,
გულს რომ ვანდობდი.
შენ ისევ ის ხარ, შენ ისევ ის ხარ!
მე ის აღარ ვარ, წლებმა დამღალა,
წლებმა წამლეკა!
ნუღარ დარეკავ!

### სატრფიალო!

ცაში ავდრის ღრუბელია,
სულში სხივი მზის,
უნდა გნახო უთენია,
თავი არ მაქვს ცდის.

ვერც ამინდი შემაშინებს,
ვერც მუქარა ძმის,
ყური უგდე ჩემს ნაბიჯებს,
დამხვდი ისევ იქ!

ბედაურს ვერ დაგახვედრებ,
არც მანქანა მყავს,
ჩემს მკლავებზე დაგასვენებ,
დაეყრდენი მხარს.

ავიშენებთ სადმე ბუდეს,
დევის პეშვის ტოლს,
ტკბილად უნდა ჩაგეხუტო,
როგორც ქმარი – ცოლს.

### ამო-ნაკვნესები

* * *

გინდ მანტია ჩაიცვი,
გინდ მოისხი კიმანო,
ჩემთვის შენ რაც იყავი,
ისევ ის ხარ – იმანო!

* * *

„პოსტიდან“ გამომდინარე,
თავი მიაჩნდა დიდად,
აღელვების დრო როცა დაუდგა,
აღელდა, მაგრამ – მშვიდად.

* * *

**ი.ზ – ის.**

ამ ქალს მე მხოლოდ ეკრანზე ვხედავ,
აზრის გამოთქმას მაინც გავბედავ:
რა ძალამ შექმნა, რომელ ძალებმა,
ხან მოკვლა მინდა, ხან – მოფერება.

* * *

ვერის ბაღში ვზივარ ობოლ კაცივით,
იყო დრო, რომ აქ თავს ვგრძნობდი
ვაცივით.
ვესალმები ნაცნობ ხეს და ძველ ყორეს,
მაგრამ ვერსად ვეღარ ვხედავ ჩემს
ტოლებს.
... ჩუ, ნუ მოთქვამ ბებერ ქალის
კილოზე,
აქ რომ ზიხარ, ამაზედაც ილოცე,

* * *

ბატონი რომ მყავდა გუშინ,
დღესაც რომ მყავს, ნაღდად ვიცი,
ხვალ და ზეგ რომ მეყოლება,
ამას რაღად უნდა ფიცი.

* * *

ზოგი მღერის, ზოგი ტირის,
ეს ცხოვრება რთულია,
მაგრამ ერთ სახლში რომ ხდება,
ცოტა უხერხულია.

◎ თემის გაგრძელება

# ტრილოგია, რომელსაც რეჟისორი თორმეტი წელი ქმნიდა

**„ინსულტი გადაიტანა ბატონმა ალიმ. სწუხს, ძველებურად ჯანი არ მომყვებაო, მაგრამ მაინც შეუპოვრად, იმედიანადაა – ბოლომდე უნდა ტრილოგიის დასრულება; არადა დიდ შემოქმედს არავინ შეუწუხებია, თავად, თავისი სახსრებით მოახერხა ყველაფერი, რათა შთამომავლობისთვის დაეტოვებინა სიყვარული და პატივისცემა იმ ერისა, რომელმაც შვილივით გაზარდა, ჩაიხუტა და როგორც თავად უყვარს თქმა: „ადგილი დაიმკვიდრა იქ, სადაც უფრო მეტი გენიოსი ცხოვრობს, ვიდრე ცაზე ვარსკვლავებია“.**

სწორედ ამ აბზაცით, ანუ ეპილოგის მაგივრად, დავამთავრე ვრცელი წერილი გამოჩენილ ხელოვანზე, საქართველოსთვის თავგადაკლულ ადამიანზე, ბატონ ალი ისაევ-ავარსკიზე – **„დაღესტნური რტო ქართულ მუხაზე“**, რომელიც გაზეთმა „ საქართველოს რესპუბლიკამ“ რამდენიმე თვის წინათ დაბეჭდა („საქართველოს რესპუბლიკა“, 5 ოქტომბერი, 2010 წელი, №185).

წუხდა ბატონი ალი, მთელი ცხოვრება შეალია ტრილოგიის გადაღებას. უსახსრობამ, ავადმყოფობამ, უსაყვარლესი მეუღლის ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლამ შეაფერხა ფილმის გამოსვლა. ქართველმა მაყურებელმა ტრილოგიის პირველი ნაწილი „რასულ გამზათოვი და საქართველო“ ცხრა წლის წინათ, მეორე ნაწილი – „საქართველო დაღესტნელთა თვალით“ კი შვიდი წლის წინათ იხილა. სულ ახლახანს შვიდწლიანი ლოდინი დაირღვა, და შედგა წარდგინება ტრილოგიის მესამე ნაწილისა – **„დაღესტანი ქართველთა თვალით“.**

სწორედ ამის გამო მომიწია კვლავ დავბრუნებოდი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატონ ალიზე გამოქვეყნებულ წერილს და მიმოხილვა მისი შემოქმედებისა კვლავ რამდენიმე შტრიხით შემევსო.

თავდაპირველად ბატონ ალის თხოვნით მის წინასაახალწლო მილოცვას შემოგთავაზებთ.

**„ჩემო ქართველო ხალხო, ღვთითკურთხეული მიწის შვილნო, როგორც თბილისის საპატიო მოქალაქე და ამ მიწის შვილი, თავს უფლებას ვაძლევ მოგილოცოთ დამდეგი ბობა-ახალი წელი, არა მხოლოდ სიტყვითა და კეთილი სურვილებით, არამედ საქმითაც. როგორც იქნა თორმეტწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ, ყოველგვარ ფინანსურ დახმარებას მოკლებულმა, მხოლოდ ჩემი ორი დიდი ხალხისა და ორი სამშობლოს – საქართველოსა და დაღესტნის სიყვარულმა შემაძლებინა თქვენთვის, ტრილოგიის – „დაღესტანი და საქართველო, მიზიდულოგის ფორმულა“, მესამე ფილმის წარდგენა“...**

მართლაც გმირობის ტოლფასია დიდი შემოქმედის თავგანწირვა, რათა ბოლომდე მიეყვანა ჩაფიქრებული საქმე. სიხარულთან ერთად გულდაწყვეტილიცაა – ტრილოგიის მესამე ნაწილის სათაურის, **„მუზეუმი ღია ცის ქვეშ“** შეცვლა მოუწია. იგი ტრილოგიაში შევიდა, როგორც **„დაღესტანი ქართველთა თვალით“.**

**– რამ განაპირობა, ბატონო ალი, სათაურის ამგვარად შეცვლა?**

– ბოლოდროინდელმა მოვლენებმა. არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც. მე ეროვნებით ავარიელი, შვიდი წელია არ ვყოფილვარ მშობლიურ მხარეში, არადა როგორ მსურდა და თავიდანაც ასე იყო ჩაფიქრებული, გადამეღო ის დიდებული კადრები, რომელიც მთელ ფილმს დედააზრად გასდევს ყველა სერიაში – დაღესტნის მთებიდან დანახული ამმიწიერი სამოთხე – საქართველო.

**– წინ რა აღუდგა ჩანაფიქრს?**

– ისევ და ისევ ფინანსები. ესაა მიზეზი იმისა, რომ თორმეტი წელი გაგრძელდა ტრილოგიის გადაღება. რომ არა ბატონი **თამაზ შილაკაძე,** ქალბატონი **დარეჯან კუხიანიძე, დავით აბულაძე, გიორგი სულაკაური,** ფილმის დასრულებას ალბათ ვერ შევძლებდი. სწორედ მათ შეძლეს სულიერად და ფიზიკურად გატეხილი კაცისთვის კვლავ ჩაენერგათ რწმენა და ძალები მოეკრიბა, რათა ოცნება ამესრულებინა.

**– ბატონო ალი, არა მარტო თქვენი შემოქმედება, არამედ თქვენი ყოველდღიური ცხოვრებაც გმირობის ტოლფასი იყო, არ გაკლდათ და არ გაკლიათ აღიარება და პოპულარობა, ასეთი ისტორიის კაცს ალბათ მეტი ყურადღება გჭირდებოდათ...**

– ვალები იზრდება, ჯილდოები მატულობს (იცინის ბატონი ალი), მსახიობი, სცენარისტი, პოეტი, მწერალი, რეჟისორი, ღირსების ორდენოსანი, შამილის საპატიო ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ახლა კი ღირსების სიგელით დამაჯილდოვა ჟურნალ „რაჭველების“ კოლეგიამ კავკასიელ ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებისთვის, მაგრამ... გასაგებიცაა, უჭირს კავკასიას, კავკასია ცეცხლის ალშია გახვეული, ჩემი ორივე სამშობლო საერთო მტრებს ებრძვის, ახლა ფილმებისთვის არავის სცალია, მაგრამ გული დაგწყდება, როდესაც უსახურ, არაფრისმომცემ კარნავალებსა და კონცერტებს ატარებენ და მათი დაფინანსებისთვის იმდენი თანხა იხარჯება, რომ რამდენიმე ფილმს მაინც გადაიღებდნენ.

**– არადა თქვენი ფილმი ხომ მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრონ მეზობლებმა, ერთი სისხლისა და დიდი ისტორიის ხალხმა.**

– საუკუნეების მანძილზე თავს ესხმოდნენ ჩემი წინაპრები საქართველოს. ჩემს მეორე სამშობლოს დღესაც მოურჩენელ ტკივილად აქვს „ლეკიანობა“, მაგრამ თუ ძმობას შეჰფიცავდნენ ერთმანეთს უერთგულეს ყონაღებად იქცეოდნენ. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოში ძმათამკვლელი ომი ატყდა, მთელი ჩრდილოკავკასიელები გაერთიანდნენ, რათა აფხაზებს, ვითომდა თავიანთი სისხლის ხალხს გვერდით დადგომოდნენ ქართველების წინააღმდეგ. სწორედ მაშინ, როდესაც ხელისმოსათბობად, ვიგინდარებმა და არაკაცებმა ვითომდა „მთიელთა კონფედერაცია“ შექმნეს, 1992 წელს დაღესტანში პირადად შევხვდი პრეზიდენტ მაგომედ-ალი მაგომედოვს, დავარწმუნე, რომ ჩემს თანამემამულეებს მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ ამ ომში, გამოვედი ადგილობრივი ტელევიზიითაც. მაშინ პრეზიდენტმა მთიელი კაცის ფიცი მომცა, რომ არც ერთი დაღესტნელი არ აღმართავდა იარაღს ქართველთა წინააღმდეგ. მან ეს ფიცი შეასრულა.

**„კავკასიურ სახლს“** და **„კავკასიის ფონდს“,** ძალუძთ ეს ფილმი აჩვენონ ჩრდილოკავკასიელებს, გაავრცელონ ჩემი წიგნები, რომელიც კავკასიელთა ძმობასა და ერთიანობას უმღერის. ამით დიდ წვლილს შეიტანენ, რათა ჩააქრონ ის ხანძარი, რომელიც ახლა აქ ტრიალებს. ეს საშვილიშვილო საქმე იქნება. სწორედ ზემოხსენებულ ორგანიზაციასა და ფონდს შეუძლია დახმარება გამიწიონ, რათა შევძლო ჩასვლა ჩემს მშობლიურ კუთხეში და გადავიღო ის კადრები, რომელიც თავიდან მქონდა ჩაფიქრებული.

იმედია „კავკასიური სახლი“ და „კავკასიის ფონდი“ ხელს მოკიდებს ამ საშვილიშვილო საქმეს და გვერდში დაუდგება ბატონ ალი ისაევ-ავარსკის. მისი წიგნები **„მხარე სადაც სიყვარული მეფობს“, „სისხლის ყივილი, გულის ძახილი“, „დაღესტნური რტო ქართულ მუხაზე“, „მთიელი ჭაბუკის ფიცი“** და სხვა ქართულ ენაზეა გამოცემული. „არწივთა საბუდარი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა თარგმნილი. წიგნების პოპულარიზაციასა და გავრცელებას კი წინ არაფერი უდგას ამ ცნობილი ორგანიზაციებისთვის.

წარმატებები გვინდა ვუსურვოთ ბატონ ალის. ადამიანი, რომელმაც საქართველო მეორე სამშობლოდ აღიარა და ჩემმა სამშობლომაც ღვიძლი შვილივით მიიღო. იგი მართლაც თანადგომას საჭიროებს.

**დაგოლოს, ეს წერილი უკეთილშობილესი, ამაგდარი ხელოვანი ქალბატონის, თბილისის საპატიო მოქალაქის მანაბა მაგომედოვას სიტყვებით მინდა დავამთავრო: „ჩემთვის უცხო არ არის ის სიყვარული, რასაც გრძნობს ჩემი უმცროსი თანამემამულე ალი ისაევ-ავარსკი საქართველოს მიმართ, იგი უნიჭიერესი და უბედნიერესი ადამიანია, ბედნიერია, რადგან ქართველმა ხალხმა გაზარდა“.**

**მამუკა ვაშაკიძე**

**ჩვენი თანამემამულე ალი ისაევ-ავარსკი**



№ 236. შაბათი, 18 დეკემბერი, 2010 წელი.



*სარაკეტო-კოსმოსური წარმოების დიდი ორგანიზატორის, ჩვენი თანამემამულის ვახტანგ დიმიტრის ძე ვაჩნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბიოგრაფია უცნობი იყო დიდი ხნის განმავლობაში არა მხოლოდ მისი თანამემამულეებისთვის, არამედ ბევრი სხვისთვისაც. ზესაიდუმლოების გრიფი იყო წილხვედრი ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებისა ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში.*

*პირველად ვ.ვაჩნაძის შესახებ მოვისმინე 80-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში საბჭოთა რაკეტების მთავარი კონსტრუქტორის — ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძისგან, როდესაც, საქართველოს ხელმძღვანელობის დავალებით, ვზრუნავდი, რომ „თბილისობის" დღესასწაულზე ჩამომეყვანა ჩვენი სახელგანთქმული თანამემამულეები, ვინც მოსკოვში, ლენინგრადში, ნოვოსიბირსკსა და სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ. ჩვენი დაუსწრებელი ნაცნობობა შედგა ოცდაათი წლის წინათ. შემდეგ იყო რამდენიმე სატელეფონო საუბარი, შეხვედრა თბილისში მის ბიძაშვილთან გივი ვაჩნაძესთან. მაგრამ ბატონი ვახტანგი ყოველთვის თავმდაბლურად მთხოვდა ხოლმე, ჯერჯერობით თავი შემეკავებინა მასზე მასალების გამოქვეყნებისგან.*

*დროთა განმავლობაში ჩემი „დოსიე" ვ.ვაჩნაძეზე ივსებოდა ახალი ცნობებით, და აი, ამ დღეებში, ტელეფონით ხანგრძლივი მეგობრული საუბრის შემდეგ, ჩემი ნანატრი მოსკოველი რესპონდენტი, როგორც იქნა, დამთანხმდა მასზე მასალის გამოქვეყნებას, თანაც ბოდიშს იხდიდა, რომ „ტაბუ" ასე გაჭიანურდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.*

# სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის სოლოლაკელი გენიოსი



ვახტანგ ვაჩნაძე

ვახტანგ ვაჩნაძის ცხოვრების ისტორია – ეს არის კოსმოსის დაპყრობისა და ათვისების ისტორია, სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის ჩამოყალიბებისა და შექმნის ისტორია. გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, სერგეი კოროლიოვის ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე ვახტანგ ვაჩნაძე იყო მისი ერთგული მოწაფე, მისი თანამოაზრე და მეგობარი. ჩვენი თანამემამულე გახლდათ სსრ კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის გამოჩენილი მთავარი კონსტრუქტორების თვალსაჩინო პლეადის უახლოესი თანამებრძოლი.

უცნობსაც კი გააოცებს ვახტანგ ვაჩნაძის ჯილდოებისა და წოდებათა უბრალო ჩამონათვალი. ესაა – ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენები, რუსეთის ფედერაციის წმინდა მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენი, უამრავი მედალი. ის დაჯილდოებულია კოსმონავტიკაში კ.ე. ციოლკოვსკის, ს.პ. კოროლიოვისა და ი.ა.გაგარინის ოქროს წარჩინების ნიშნებით, მინიჭებული აქვს ლენინური და სახელმწიფო პრემიები, არჩეულია რუსეთის კ.ე.ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის აკადემიის ნამდვილ წევრად, ქალაქ კოროლიოვის საპატიო მოქალაქედ... მისი ტიტულების, წოდებების, ჯილდოების სია კიდევ შეიძლება დიდხანს გავაგრძელოთ.

რა ფესვები ასაზრდოებდა სარაკეტო-კოსმოსური სისტემების წარმოების გამოჩენილი ორგანიზატორის ასეთ ძლიერ გენს?

ვახტანგ ვაჩნაძე – კახეთის სახელოვანი თავადური გვარის შთამომავალია. მისი პაპა გიორგი ვაჩნაძე, მეფის არმიის პოლკოვნიკი, ოცი წელი მსახურობდა ამ არმიაში, საქართველოში დაბრუნდა რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ 1906 წელს. ჩვენი



ვახტანგ ვაჩნაძე

ნარკვევის გმირის ბებია ანა ჩერქეზიშვილი იყო მომხიბლავი თავადის ასული კახეთის სოფელ თოხლიაურიდან.

სამხედრო კარიერა აირჩია ვახტანგის მამამ დიმიტრი ვაჩნაძემაც, რომელიც მოსკოვში საფრენოსნო სკოლის დამთავრების შემდეგ ბელორუსიის ქალაქ ბობრუისკში განამწესეს. იქ შექმნა მან ოჯახი და 1929 წელს გაუჩნდა პირველი ვაჟიშვილი, რომელსაც ვახტანგი დაარქვეს. ორი წლის შემდეგ ვახტანგის მამა თბილისში გადმოიყვანეს, სადაც საფრენოსნო ქვედანაყოფებში მსახურობდა. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე დიმიტრი ვაჩნაძე ფრონტზეა, თვითმფრინავებით შემოუფრინა ლამის მთელ ნახევარ ევროპას, მაგრამ გამარჯვებამდე ათი დღით ადრე მის თვითმფრინავს ქ.შჩეცინის აეროდრომზე დაშვების დროს გერმანელებმა ცეცხლი გაუხსნეს და თბილისში ინვალიდი დაბრუნდა.

დ.ვაჩნაძის ხელმოკლე ოჯახი ცხოვრობდა სოლოლაკში, ჭონქაძის ქუჩის № 13-ში. ვახტანგი სწავლობდა თბილისის 45-ე სკოლაში (ქალთა და ვაჟთა სკოლების გაყოფის შემდეგ მას მე-3 ვაჟთა სკოლა ეწოდა), ისე მოხდა, რომ ვახტანგის ძმა გოგი (გიორგი), რომელიც მასზე ათი წლით უცროსი იყო, და მე (მაშინ მათ ახლოს, ყოფილ ძერჟინსკის ქუჩაზე ვცხოვრობდი) 1946 წელს ერთად შევედით პირველ კლასში. სწორედ მაშინ, ი.ბ.სტალინის წინადადებით, ათწლიანი სასკოლო სწავლება ერთი წლით გააგრძელეს, წარჩინებული მოსწავლეებისთვის დააწესეს ოქროს და ვერცხლის მედლები.

აი ასე გახდა პრაქტიკული კოსმონავტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი თბილისის 43-ე სკოლის მე-11 კლასელი ვახტანგ ვაჩნაძე ოქროს მედალოსანი, რაც მას გარანტიას აძლევდა უგამოცდოდ ჩარიცხულიყო ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

იმავდროულად იყო კარგი ფეხბურთელი, მშვენივრად უკრავდა ფორტეპიანოზე (ვახტანგმა ერთდროულად დაამთავრა მუსიკალური სკოლაც).

დავით ვაჩნაძის ოჯახი გაჭირვებით ცხოვრობდა და იმაზე, რომ ვახტანგს სწავლა გაეგრძელებინა მოსკოვში, რაზეც მამამისი ოცნებობდა, ფიქრიც ზედმეტი იყო.

ერთხელ ვახტანგს მამამ უჩვენა გაზეთის ამონაჭერი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყობა გამოცდები მოსკოვში ახლად გახსნილ ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში ჩასარიცხად. მედალოსნებისთვის საკმარისი იყო გამოცდების ჩაბარება მათემატიკასა და ფიზიკაში. საბუთები შეიტანა. აბიტურიენტებისგან გამოცდებს იბარებდნენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა. მოსკოვში სწავლის მსურველი 300 ახალგაზრდა იყო. გამოცდები გვიან ღამემდე გაგრძელდა. ვახტანგმა წარმოაჩინა ბრწყინვალე ცოდნა მათემატიკასა და ფიზიკაში.

გაუმართლა მხოლოდ 11 ახალგაზრდას. 81 წლის ბატონ ვახტანგს დღესაც ახსოვს ყველა მათგანის გვარი. საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის კანდიდ ჩარკვიანის ინიციატივით, მოსკოვში 11-ვე ახალგაზრდის გამგზავრების ხარჯები მთავრობამ გადაიხადა. მოსკოვში კურსკის ვაგზალზე მათ საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლები დახვდნენ.

საქართველოს წარმომადგენლებს ესაუბრა ცნობილი რუსი მეცნიერი ლევ ლანდაუ. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ იყო მზად პირველი სტუდენტების მისაღებად. და აქ ვახტანგს გაახსენდა მამის ძველი ოცნება და შევიდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში, სახელგანთქმულ „მაიში", ძრავამშენებლობის ფაკულტეტზე. ამის მიუხედავად, რჩებოდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს „კმაყოფაზე" მესამე კურსამდე და საინსტიტუტო სტიპენდიის დამატებით ღებულობდა 500 მანეთს სემესტრში. ყველაზე მეტად გახარებული იყო მამა, რომელიც წლების შემდეგ მოწმე გახდა თავისი უფროსი შვილის დიდებისა. აქვე ვიტყვით, რომ ბატონი დიმიტრი 1962 წელს გარდაიცვალა, თავის სახლში, ჭონქაძის № 13-ში. მართალია, ბოლოს სიარული აღარ შეეძლო, მაგრამ რჩებოდა მეტად აქტიურ პიროვნებად, პიესებს თარგმნიდა ქართული თეატრებისთვის. ორი-სამი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ უკვე ცნობილი ვახტანგ ვაჩნაძის დედას გამოუყო ახალი ერთოთახიანი ბინა საბურთალოზე, სადაც თავისი შვილების წარმატებით ამაყი და ბედნიერი გარდაიცვალა 80-იან წლებში. მისი უმცროსი შვილი, ჩემი თანაკლასელი გოგი მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა წამყვან კონსტრუქტორად ქალაქ კოროლიოვში. გიორგი ვაჩნაძე გახლავთ მაღალი კლასის სპეციალისტი კოსმოსური აპარატების დედამიწაზე დაბრუნების დარგში. ბუნებრივია, მთელი მისი მუშაობა, როგორც უფროსი ძმისა, მკაცრად გასაიდუმლოებულია.

ვახტანგს ჰყავს ორი ქალიშვილი (ისინი საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალისტები არიან), აგრეთვე ერთი შვილიშვილი. ყველამ შესანიშნავად იცის ქართული, კარგად იცნობენ საქართველოს, ყველა აქაური მოვლენის საქმის კურსში არიან.

... ჯერ კიდევ 1946 წელს ი.ბ.სტალინმა ხელი მოაწერა დადგენილებას საბჭოთა სარაკეტო ტექნიკის შექმნისა და ს.პ.კოროლიოვის შორი მოქმედების ბალისტიკური რაკეტების სამმართველოს მთავარ კონსტრუქტორად დანიშვნის შესახებ. ფაქტობრივად, ის გახდა გრანდიოზული, მსოფლიოში სამუშაოთა კომპლექსის სირთულით ჯერ არნახული პროექტის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და კოორდინატორი.

და აი, 1953 წელს, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვახტანგ ვაჩნაძე თავის შრომით საქმიანობას იწყებს სახელგანთქმულ კოროლიოვის „ცალკე საკონსტრუქტორო ბიურო-1"-ში. ახალგაზრდა ქართველმა სპეციალისტმა მალე მიიპყრო თავად ს.პ.კოროლიოვის ყურადღება, რომელმაც ვახტანგ ვაჩნაძის ნიჭი, ცოდნა და არაორდინარული აზროვნება მოულოდნელი მიმართულებით გამოიყენა, შემდეგ კი ჩართო სახელგანთქმული რაკეტა „რ-7"-ის თხევადი სარაკეტო ძრავის – კოროლიოვის პირმშოს შექმნაში. ამ სამუშაოსთვის 27 წლის ვახტანგ ვაჩნაძემ 1956 წელს მიიღო თავისი პირველი ჯილდო – „საპატიო ნიშნის" ორდენი. სწორედ ეს რაკეტები უზრუნველყოფდნენ იმ წლებში მოსკოვის საჰაერო თავდაცვას.

1957 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირში დედამიწის გარე ორბიტაზე გაიყვანეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რასაც დიდი რეზონანსი ჰქონდა მსოფლიოში. ვახტანგ ვაჩნაძემ მიიღო ახალი ჯილდო – შრომის წითელი დროშის ორდენი. კოსმოსური აპარატის „მთვარე-3"-ის მომზადებასა და გაშვებაში მონაწილეობისთვის კი, რის შედეგადაც მსოფლიოში პირველად მიიღეს მთვარის უკანა მხარის სურათები, 1960 წელს ვახტანგ ვაჩნაძეს ლენინური პრემია მიენიჭა. მაშინ ის ოცდაათი წლისაც არ იყო! მისი წარსადგენი დახასიათება პირადად გაასწორა და ხელი მოაწერა თავად კოროლიოვმა. 1961 წლის 12 აპრილს იური გაგარინი გაფრინდა კოსმოსში, რითაც დაიწყო ახალი ერა კოსმოსის ათვისებაში. რამდენი უძილო ღამე, განგაში და, რასაკვირველია, ბედნიერება შესრულებული მოვალეობის გამო ახლდა ყოველივე ამას თან...

სხვათა შორის, ერთი საინტერესო დეტალი. იური გაგარინის გაფრენის შემდეგ ვახტანგ ვაჩნაძემ, იმ დროისათვის უკვე მკაცრად გასაიდუმლოებულმა, რამდენიმე დღით მოახერხა მშობლიურ თბილისში ჩამოსვლა, რითაც დიდად გაახარა მონატრებული მშობლები, ფოტოატელიეში რუსთაველის პროსპექტზე კი გადაიღო ფოტოსურათი ლენინური პრემიის ნიშნით.

1974 წელს ვახტანგ ვაჩნაძე გადაჰყავთ საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროში და ნიშნავენ კოლეგიის წევრად და მთავარი სამმართველოს უფროსად, რომელიც პასუხისმგებელი იყო ყველა საბჭოთა კოსმოსურ პროგრამაზე, საპილოტო გაფრენებზე, დაზვერვის თანამგზავრებზე, ტელევიზიაზე, ნავიგაციაზე.

იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, სადაც ჩვენს თანამემამულეს უმუშავნია, ნაკეთობათა დასახელება, რომლებიც იქმნებოდა მისი მონაწილეობითა და უშუალო ხელმძღვანელობით – ეს არის პრაქტიკულად საბჭოთა და რუსეთის ფედერაციის სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის მთელი სტრუქტურისა და თემატიკის სია. 27 წლისა ის იყო საამქროს უფროსი, 45 წლისა – მთავარი სამმართველოს უფროსი, 48 წლისა – დაბრუნდა საწარმოში – სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერგიის" გენერალურ დირექტორად.

სსრ კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვახტანგ ვაჩნაძის, როგორც წარმოების მუშაკისა და ხელმძღვანელის უზარმაზარი გამოცდილების, მისი ადამიანური თვისებების გათვალისწინებით, რომელიც დეტალურად იცნობდა წარმოებას ჩარხიდან დაწყებული პროდუქციამდე, კოსმოსში რომ იგზავნებოდა, ვისაც უყვარდა და პატივს სცემდა თავის სამუშაოს, ერთსულოვნად დაამტკიცა იგი ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე. ვახტანგ ვაჩნაძე 15 წლის (!) განმავლობაში – 1977-დან 1991 წლამდე – ხელმძღვანელობდა მსოფლიოში უდიდეს გაერთიანებას, რომელშიც შედიოდა კოსმოსური ტექნიკის 1200-მდე საწარმო და ორგანიზაცია, სადაც შრომობდა 56 ათასზე მეტი კაცი (!). და თანაც ერთობ რთულ დროს, როდესაც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერგია" მუშაობდა ერთბაშად ორი ფართომასშტაბიანი პროგრამით: ორბიტალურ სადგურ „მირზე" და მრავალჯერად კოსმოსურ სატრანსპორტო სისტემა „ენერგია-ბურანზე". პროგრამა „მირში" მონაწილეობისთვის ვახტანგ ვაჩნაძეს 1989 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია. სისტემა „ენერგია-ბურანს", თავის პირმშოს, ვახტანგ ვაჩნაძე დღემდე თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ მიიჩნევს (!)...

თავისი ასაკის მიუხედავად, ბატონი ვახტანგი დასვენებაზე არც ფიქრობს: 1991 წლიდან, როდესაც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერგიის" გენერალური დირექტორის თანამდებობა დატოვა, შრომობს იქ სამეცნიერო კონსულტანტად, თუმცა დღეს ამ გაერთიანებას სხვა სახელი – ს.პ.კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია „ენერგია" ჰქვია.

ვახტანგ ვაჩნაძე მრავალგზის იყო არჩეული კალინინგრადის (ამჟამად ქ.კოროლიოვის) საქალაქო საბჭოს დეპუტატატ, 1977-დან 1991 წლამდე იყო მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატი და ქ.კალინინგრადის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე...

დღეს ბატონი ვახტანგი არის აგრეთვე ტექნიკის განვითარების სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია „ენერგიისთვის" კადრების მომზადების ცენტრის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. 81 წლის ბატონი ვახტანგი დარწმუნებულია, რომ ადამიანი ვალდებულია იყოს სასარგებლო საზოგადოებისთვის, მხოლოდ მაშინ, ბუნებისა და ყოფის ჩვენთვის უცნობი კანონებით, რჩება იგი დედამიწაზე.

ჩვენს სახელგანთქმულ თანამემამულეს, ვინც ამდენი რამ გააკეთა კაცობრიობის პროგრესისთვის, უყვარს თავისი მასწავლებლისა და თანამებრძოლის ს.პ.კოროლიოვის სიტყვების გახსენება იმის შესახებ, რომ „კოსმოსი სიცარიელე როდია. იქ არის ენერგიის უზარმაზარი მარაგი. მეცნიერებს მხოლოდ მიაჩნიათ, რომ ეს ენერგია იქ არის. იქ არის გამოსხივების ყველა სახეობა, იქ არის დედამიწის ამინდის სამზარეულო და იქ არის ბევრი, ბევრი მოვლენა, რომლებსაც ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ". აი რატომ არის საჭირო, რომ კაცობრიობამ იმოქმედოს, ქმნიდეს, ანვითარებდეს მეცნიერებას...

ჩვენი საუბრის დასასრულს, რომელიც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ბატონმა ვახტანგმა მთხოვა გადამეცა ყველასთვის, ვინც მას იცნობს, ვისაც ის ახსოვს, ყველა მისი თანამემამულისთვის მილოცვა და საუკეთესო სურვილები მომავალი ახალი წლისთვის.



**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
თბილისი-მოსკოვი
(ტელეფონით)

## ვინ როგორ ხედავს?



***მიხეილ ნიკოლაევიჩი და არა საქართველოს პრეზიდენტი — სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელს, ანდრეი ნესტერენკოს არც ერთხელ არ უწოდებია მიხეილ სააკაშვილისთვის — საქართველოს პრეზიდენტი. რუსეთის საგარეო უწყების მაღალჩინოსანი საქართველო-რუსეთს შორის ერთი წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს აფასებს და აშკარად იკვეთება მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სურვილი — „მიხეილ ნიკოლაევიჩის მიერ თავისი პოლიტიკური უფლებამოსილების მოხსნისა“. საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი ყველა ნეგატიური მოვლენის მიზეზი რუსი მაღალჩინოსნის აზრით მხოლოდ ერთია — მიხეილ ნიკოლაევიჩი...***

# ანდრეი ნესტერენკო:
# რუსეთში ძველებურად უყვართ საქართველო და ქართველები

**— შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისა და საქართველოს თემა უკვე თითქმის გასულ წელს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე განსახილველ ტოპ-საკითხს წარმოადგენდა.**

მიიღეს გაეროს რეზოლუცია, გაკეთდა მრავალი განცხადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდასაჭერად და მრავალი ქვეყანა ეთანხმება იმას, რომ რუსეთი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციას ახორციელებს. თუმცა, მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების აზრისა, რუსეთი აგრძელებს პოზიციების გამყარებას აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ თუნდაც ბოლო ფაქტი ცხინვალის რეგიონში „სმერჩის“ სისტემების განთავსება, რომელსაც ძალუძს არაკონტროლირებადი დარტყმის მიყენება 70-იდან 90 კილომეტრამდე დისტანციაზე. რაც, თავის მხრივ, დარტყმის ქვეშ ქვეყნის დედაქალაქს — თბილისს აყენებს.

— სიმართლე გითხრათ, არ ვფლობ დეტალურ ინფორმაციას ამ სისტემის განლაგების თაობაზე, თუმცა, როგორც ჩანს, იგი საჭიროა. ხოლო რაც შეეხება ჩვენს აზრს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, მთლიანობაში იგი მაინც მკაფიო და უცვლელი რჩება — ეს უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და არავითარი ოკუპაცია იქ არ ხდება. ამავე დროს, ჩვენი პოზიციის უკეთ გასაგებად შემიძლია აღვნიშნო, რომ ამჟამად არავითარ ისეთ ღონისძიებას არ მივმართავთ, რომელიც ვინმეს დაშინებისკენაა მიმართული ან ვინმეს საფრთხის ქვეშ დაყენებას ისახავს მიზნად — ეს მხოლოდ დაცვაა.

აუცილებელია მივუბრუნდეთ უკვე მომხდარ მოვლენებს. 2008 წლის კონფლიქტთან დაბრუნებით კი შეიძლება ითქვას ერთი რამ — მოხდა სრულიად გასაგები რაღაც. ქართული მხრიდან გაცემული იყო ბრძანება ცხინვალზე იერიშის დაწყების შესახებ და ეს არ უნდა განმეორდეს. მაშინ საუბარი მიდიოდა არა კონკრეტულ დაჯგუფებებზე, არამედ ამ ქალაქის მცხოვრებლებზე. ის, რომ აფხაზეთიც და ცხინვალიც ავტონომიურად არსებობდნენ, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა მიხეილ ნიკოლაევიჩს. თუმცა ჩემი პირადი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც მიდის იქამდე, რომ იგი, ალბათ, მარტო არ მოქმედებდა...

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ავტონომია საქართველოს პრეზიდენტისთვის ხელსაყრელი არ იყო. რატომ? რა სტატუსით შეიძლება დაენახა მას ეს რეგიონები?**

— მიმაჩნია, რომ იგი უბრალოდ არ ეთანხმებოდა იმას, რომ ისინი ავტონომიურ პოლიტიკას ატარებდნენ და თვითგამოცხადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხარისხში არსებობდნენ. მისი ოფიციალური განცხადებები მხოლოდ იქამდე მიდიოდა, რომ საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის უნდა იყოს. ეს პოზიცია ადგილს არ ტოვებდა (ასე აფასებდნენ სიტუაციას აფხაზებიც და ოსებიც) სხვა არაფრისთვის და გამოდიოდა ასეთი რამ: „თქვენ ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობთ, მაგრამ უცხო ხალხი ხართ“. ყოველივე ეს საჯაროდ იყო ნათქვამი.

აგრესიის წინ კი (ამის დამადასტურებელი მონაცემები არსებობს), პირველ ყოვლისა, შეყვანილი იყო ის ქართული კონტინგენტი, რომელიც სამშვიდობო ძალებში შედიოდა და ამას გარდა, სანაკოევის მეშვეობით (რომელიც სამხრეთ ოსეთის ერთგვარი მმართველის როლის მორგებას ცდილობდა), სპეციალურად გაგზავნილი იქნა ინსტრუქციები, რომელთა შედეგადაც ქართული მოსახლეობის ნაწილმა ტერიტორია დატოვა. ამის შემდეგ დაიწყო დაცხრილვა.

პროპაგანდა იმისა, რომ რუსი სამხედროები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ — აბსოლუტური სისულელეა. ჩვენი სამშვიდობო კონტინგენტის გარდა, რომელიც ასევე დაიცხრილა, იქ არავინ იყო. იქნებ გახსოვთ ერთი ფოტოსურათი, რომელზედაც შენობაში ტანკია გაჩხერილი. მე ცხინვალში კონფლიქტის შემდეგ მალევე ჩაველი. ეს ზუსტად ის ადგილია, სადაც რუსული სამშვიდობო კონტინგენტის ძალები და ქართველი სპეციალისტები იყვნენ განლაგებული. ეს კი ქართული ტანკი იყო, რომელიც შევიდა ამ სამშვიდობო პუნქტის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, ნავარაუდევი იყო, რომ მას ცეცხლი სწორედ აქედან უნდა ეწარმოებინა. თუმცა ეს ტანკი გააუვნებელყვეს...

ცხადად არსებულის უარყოფა არ შეიძლება. მიხეილ ნიკოლაევიჩი აცხადებს, რომ მისი პროვოცირება ვიღაცამ მოახდინა და ა. შ.. ჩვენთვის ცნობილია, რომ იყო გარკვეული კონფლიქტური სიტუაციები ქართველებსა და ოსებს შორის, მაგრამ როდესაც ადამიანი აძლევს ბრძანებას ქალაქის იერიშის შესახებ, მით უფრო მძინარე ქალაქის იერიშის შესახებ, აღნიშნული ფაქტი კომენტარებს აღარ საჭიროებს.



**— თუმცა ასევე ცნობილია, რომ ცხინვალიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა მის დაცხრილვამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.**

— არავის არავინ გაუყვანია. ხალხის გაყვანა მოგვიანებით დაიწყეს. მიხეილ ნიკოლაევიჩის მოქმედებები კი ადამიანთა წინაშე ჩადენილი დანაშაული იყო.

**— ასეა თუ ისე, ამ კონფლიქტის დასრულებიდან ორი წლის შემდეგაც კვლავ ჩიხში შესული სიტუაციაა. მხარეთაგან არც ერთს დათმობაზე წასვლა არ უნდა და თითოეული თავის სიმართლეს ამტკიცებს. რა ვქნათ, როგორ გავჭრათ ეს გორდიას კვანძი?**

— პირველ ყოვლისა, ქართველებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, ვინ უნდა უხელმძღვანელოს მათ ქვეყანას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ამას გარდა, ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე საუბრისას არაერთგზის გვითქვამს, რომ დიპლომატიური ურთიერთობები სწორედ მიხეილ ნიკოლაევიჩის ინიციატივით გაწყდა. ყველაფერი დანარჩენი კი ისედაც ცნობილია.

რაც შეეხება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაციიდან გამოსავალს, მიმაჩნია, რომ ამ საკითხში გამოსავალი თავად აფხაზებთან და ოსებთან უნდა მოიძებნოს. პირდაპირი კონტაქტები უნდა მოხდეს. ქართული დიპლომატიის წარმომადგენლებმა უნდა ეძებონ დიალოგის ფორმა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს უბრალოდ დიალოგი, რომლის დროსაც ყველა ერთმანეთს ადანაშაულებს. აუცილებელია ორმხრივი დისკუსიის წარმართვა. მხარეთაგან თითოეულმა უნდა თქვას, როგორ ხედავს ის თავის პოზიციას. შემდეგ კი უკვე აუცილებელია დაახლოების გზების ძიება. თუმცა ყველაფერი უნდა ხდებოდეს მხოლოდ დიალოგით და მხოლოდ გარკვეული გარანტიებით.

ახლა არის იმედის მომცემი სიგნალები, რომ თბილისი, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, თითქოს თანახმაა და აპირებს წავიდეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე (ასეთი განცხადება გააკეთა მიხეილ ნიკოლაევიჩმა ევროპარლამენტში). რამდენიმე ხნის წინათ იყო რეაქციები როგორც ცხინვალიდან, ისე სოხუმიდან, რომლებიც მაინც სიფრთხილით უდგებიან ამ საკითხს. ალბათ, სწორედ აქ უნდა მოიძებნოს რამე, მოიძებნოს საფუძველი, კონკრეტულად — პირდაპირი კონტაქტები.

ასევე უნდა იქნეს გამოყენებული კონტაქტები ჟენევის დისკუსიების ფორმატში. თუმცა ისიც მართალია, რომ ეს მოლაპარაკებებიც ყოველთვის მშვიდად და რბილად არ მიმდინარეობს და იქაც არის ემოციები და მწვავე პოლიტიკური დაძაბულობა.

**— კავკასიის თემის განხილვისას საინტერესო იქნებოდა თქვენი აზრის გაგება საქართველოს მიერ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების მცხოვრებლებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ...**

— გულწრფელად გეტყვით: ჩემთვის ეს ახალი ამბავი საკმაოდ მოულოდნელი იყო, იმიტომ, რომ არ არის მსოფლიო პრაქტიკაში მსგავსი წინადადებები, როდესაც საზღვრები მხოლოდ მეზობელი ქვეყნის გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთათვის იხსნება. ეს იგივეა, რომ, მაგალითად, აშშ-მ გამოაცხადოს, ჩვენი საზღვრები შვეიცარიის კონფედერაციის ცალკეული კანტონებისთვის იხსნებაო. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილებები გარკვეული ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებაში და ეს სულ სხვა საქმეა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გარკვეული ეროვნებებისა და ხალხების მიმართებაში — საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთი არ არსებობს.

**— ბოლო დროს გახშირდა ფაქტები, რომლებიც ქართული სპეცსამსახურების მიერ რუსი ჯაშუშებისა და ტერაქტების ორგანიზატორების დაკავებას ეხება. სულ რაღაც რამდენიმე დღის წინათ დააკავეს ადამიანები, რომლებიც რუსული არმიის გენერლის ხელმძღვანელობით საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების ორგანიზებას ახდენდნენ...**

— ამ საკითხთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ის კომენტარები, რომლებსაც მანამდე ქართველი პოლიტიკოსებიდან ვისმენდით, დაფიქრების საშუალებას იძლევა. ხომ არ სჭირდება ეს ყველაფერი ვინმეს და ხომ არ სჭირდება სწორედ ვინმეს აი ასეთი სიტუაციები... ვიღაც გენერალი ვიღაცას აგზავნის და ა. შ.. ეს ფარსია. მიმაჩნია, რომ ყოველივე ეს ძალიან ჰგავს ჯაშუშური სკანდალების თამაშს... იმისათვის, რომ ობიექტური სურათი გვქონდეს, ზუსტი მონაცემები უნდა გეჭიროს ხელში და თუკი საუბრობ მის ბრალდებებზე, მაშინ ეს ბრალდებები კომპეტენტური ორგანოების მიერ უნდა იყოს წამოყენებული...

**— ვინ შეიძლება იყოს საქართველოს შს მინისტრ ვანო მერაბიშვილზე უფრო კომპეტენტური, რომელმაც პირადად გააკეთა განცხადებები და კომენტარები ამ საკითხთან მიმართებაში?**

— შს მინისტრი ეს ის ადამიანია, რომელიც მიხეილ ნიკოლაევიჩმა დანიშნა. ამიტომაც რასაც მიხეილ ნიკოლაევიჩი იტყვის, ის იმას გააკეთებს...

**— 2006 წლიდან მოყოლებულმა ჯაშუშურმა სკანდალებმა და ამის შემდეგ განვითარებულმა პოლიტიკურმა უთანხმოებებმა ყველაფერი მიიყვანა იქამდე, რომ იკარგება კავშირები ხალხებს შორის. ზარალდებიან უბრალო ადამიანები...**

— რუსეთში ძველებურად უყვართ საქართველო და ქართველები. ჩვენ ვართ ადამიანები საერთო ისტორიით და ღრმა კულტურული კავშირებით... ბოლო წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა რუსეთში ქართველების მიმართ არამეგობრული დამოკიდებულების გამოვლენისა. ადამიანები ხვდებიან, რომ პოლიტიკა — ეს ერთია, რეალური ცხოვრება, ისტორია და სისხლი რომელიც არეულია — სულ სხვა. ჩვენ არ შეგვიძლია ამის გაწყვეტა... არ შეგვიძლია რუსულ-ქართული კავშირების გაწყვეტა, ისევე, როგორც არ შეგვიძლია კავშირების გაწყვეტა რუს და უკრაინელ ხალხს შორის... ეს ისტორიაა.

უბრალოდ, კარგად უნდა გვესმოდეს... როდესაც იქ „ძია სემი“ ვაშინგტონიდან ამბობს — „ალო“ — იმიტომ რომ ვიღაცისთვის ხელსაყრელია ყოველივე ამის დანგრევა, გატეხა და გადაზელვა, ასეთ შეცდომებს ისტორია არ პატიობს.

სააკაშვილის სახელი უკვე შევიდა ისტორიაში ცხინვალის დაცხრილვის გამო და იგი ყველაზე შავ გვერდზე წერია. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ თუკი თავის პოლიტიკურ უფლებამოსილებას მოიხსნის, შემდეგ მას სად ვნახავთ? — ვაშინგტონში... ქართულ საზოგადოებას იგი უკვე აღარ დასჭირდება. ვაშინგტონში კი წაიკითხავს ლექციებს და კვლავ იყვირებს: რუსეთი — აგრესორი! თითქოს პატარა დემოკრატიული საქართველო გათელილია და ჩახშობილია რუსეთის მიერ, მაგრამ... ყველამ კარგად იცის, რომ ეს ასე არ არის.

**ესაუბრა**
**ანასტასია კამენსკაია**

## დედამიწის ზურგზე




**კაჩინსკის თვითმფრინავში დაღუპულთა სხეულების ექსჰუმაციას აპირებენ**

პოლონეთი აცხადებს, რომ რუსეთისგან მოსული დოკუმენტები იმდენად არეულ-დარეულია, რომ დაღუპულთა სხეულის ნაწილები შეიძლება სხვადასხვა საფლავებში აღმოჩნდნენ. დაღუპულთა ოჯახების ადვოკატს არ სწამს, რომ პრეზიდენტ კაჩინსკისა და მისი მეუღლის საფლავში სწორედ ისინი არიან დამარხულები. რუსეთიდან შემოტანილი კუბოები დახურულია და გაუხსნელი.

* * *

**ავსტრალიამ ოფიციალურად გაამართლა ვიკილიკსის საქმიანობა**




ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ადრე გმობდა ვიკილიკსს, აღიარა, რომ საიტსა და მის დამფუძნებლებს ქვეყნის კანონები არ დაურღვევიათ. წინა დღით ჯულიან ასანჟი გაათავისუფლეს გირაოთი. ის ბრალს სდებს ავსტრალიის პრემიერს და ირწმუნება, რომ მისი მისამართით ბრალდებანი პოლიტიკასთან არიან დაკავშირებული.

* * *

**აშშ-ში ცუდი ამინდის გამო სამი კაცი დაიღუპა**



ვაშინგტონში მოვიდა ძლიერი და დიდი თოვლი, რამაც გამოიწვია გზებზე საცობები და ავიარეისების შეჩერება. ზამთრის ამინდი დამკვიდრდა ათზე მეტ შტატში. არ არის სიმშვიდე ქვეყნის სამხრეთითაც — ჯორჯიის, ალაბამისა და მისისიპის ხელისუფლებანი იტყობინებიან გაყინულ ტრასებზე საგზაოსატრანსპორტო შემთხვევების შესახებ. სიცივეს ელოდებიან ფლორიდაშიც კი.

* * *

**პერუში ავტობუსი ხრამში გადავარდა: დაიღუპა სულ ცოტა 15 კაცი, 20 დაჭრილია**

საქალაქთაშორისო ავტობუსი 50 მგზავრით ხრამში გადავარდა 500 მეტრის სიმაღლიდან მთიან პროვინციაში. დაჭრილებთან მისვლა უკიდურესად გართულებულია ადგილის რელიეფის გამო და მსხვერპლის რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.



* * *

**ვაშინგტონმა მოსახლეობისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები ბირთვული დარტყმის შემთხვევისთვის**

ცივი ომის დროს ხალხს არასწორი წარმოდგენა შეექმნა იმასთან დაკავშირებით, რომ ბირთვული შეტევის შემდეგ თითქოს გადარჩენა აღარ შეიძლება. ამ დროს გადარჩენის ალბათობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ამას ბევრი ფიქრობს, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თავის სტატიაში პირველ გვერდზე.

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

**17 დეკემბერი, შაბათი**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „ცალრქას მოგზაურობა“
12.15 მხ. ფილმი „ნაპირიდან ნაპირამდე“
14.00 კალათბურთი: სუპერლიგა: შსს – ენერჯო
17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
18.00 ქართ. ტელეფილმი „6 და 7“
19.20 კონცერტი: სალომე და ბაია
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „დავიწყებულნი“
3.0 მხ. ფილმი „მარწყვი და შოკოლადი“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „ჩვენი სახლი“
21.30 კონცერტი: „ღიმილი მინდა“
23.20 მხ. ფილმი „მარწყვი და შოკოლადი““

რუსთავი-2
10.00 სერიალი „კლუბი“
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „არტური და უდალაკის შურისძიება“
15.30 მხ. ფილმი „ცისფერი მთები“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „სად არის ელისა“
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
23.00 კოდი
00.00 მხ. ფილმი „ტაქსი“
02.20 მხ. ფილმი „სამართებელი“

მზე
11.00 საბ. სერიალი „ოდისეა“
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა“
15 00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

იმედი
09.15 მხ. ფილმი „წინ გამარჯვებისკენ“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00, 18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
23.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი“ (სუბტიტრ.ძ
03.30 მხ. ფილმი „საბედისწერო მოგზაურობა“ (სუბტიტრ.ძ
05.15 მხ. ფილმი „მზის ბნელი მხარე“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.30 სერიალი „დაშნების დედოფალი“
12.30, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
13.15 სერიალი „ჩემი მიწა“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
18.50 მხ. ფილმი „ონგ ბაკი“
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი „ჩემი მეხსიერების შიგნით“

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „სინემა“
15.10 ოპერა
19.25 მხ. ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“
01.10 მხ. ფილმი „ერთი ცის ქვეშ“

საქართველო
11.00 სერიალი „სიოგუნი“
12.30 მხ. ფილმი „უნივერსალური ჯარისკაცი: დაბრუნება“
14.00 მხ. ფილმი „მისია სერენიტი“
16.05. მხ. ფილმი „ვარსკვლავური გზა“
18.20 მხ. ფილმი „ეროვნული საგანძური 2“
20.40 მხ. ფილმი „ლეგიონერები“
22.45 მხ. ფილმი „მგზავრი“
00.35 მხ. ფილმი „ანონიმი: ქალი ბერლინში“

რეგიონი – TV
11.05 მხ. ფილმი „ვარდისფერი პანტერა 2“
12.35 მხ. ფილმი „ერთხელ ჰოლივუდში“
14.10 მხ. ფილმი „როგორ მოვიცილოთ ყმაწვილი 10 დღეში“
16.05 მხ. ფილმი „წმინდა ვალენტინის დღე“
18.15 მხ. ფილმი „წიგნი და ილია“
20.40 მხ. ფილმი „ჯული და ჯულია“
22.45 მხ. ფილმი „დღის რაინდი“
00.45 მხ. ფილმი „ერთხელ ამერიკაში“

**19 დეკემბერი, კვირა**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „ცალრქას მოგზაურობა“
12.15 მხ. ფილმი „ღამის წვეულება“
18.00 კონცერტი: ალ. კორსანტია
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „მიმზიდველი“

II არხი
15.00 სპექტაკლი „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“
22.00 კონცერტი: მერაბ სეფაშვილი
23.50 მხ. ფილმი „ხმაურიანი გაძევება“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „კლუბი“
13.00 მხ. ფილმი „ბუმი“
15.20 სერიალი „კაპრი“
18.50 სერიალი „დანიელა“
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
23.00 სად? რა? როდის?
00.00 მხ. ფილმი „ყავა და სიგარეტი“
02.20 მხ. ფილმი „დეკამერონი“

მზე
08.00 მხ. ფილმი „ტყუპები“
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 მხ. ფილმი „ელიზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

იმედი
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
15.00 მხ. ფილმი
18.45 ქართ. სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
20.30 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი, „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „ილიას წიგნი“ (სუბტიტრ.ძ
03.20 მხ. ფილმი „ქორწინების დღე“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.30 სერიალი „დაშნების დედოფალი“
12.40, 21 00 სერიალი „პადრე კორახე“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.00 მხ. ფილმი „როცა აყვავდა ნუში“
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი „ძარცვა“

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“
19.20 მხ. ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“
00.40 ოპერა

საქართველო
11.00 სერიალი „სიოგუნი“
12.25 მხ. ფილმი „ბაბილონი ჩვენი წელთაღრიცხვით“
13.55 მხ. ფილმი „ადრენალინი 2: მაღალი ძაბვა“
15.40 მხ. ფილმი „რკინის კაცი“
17.55 მხ. ფილმი „მისტერ და მისის სმითები“
20.05 მხ. ფილმი „დაქირავებული ჯარისკაცები“
21.55 მხ. ფილმი „პროფესიონალი“
23.55 მხ. ფილმი „ამადეუსი“

რეგიონი – TV
11.05 მხ. ფილმი „ათი იარდი 2“
12.45 მხ. ფილმი „მკვლელობის უფლება“
14.20 მხ. ფილმი „კლიკი პულტით ცხოვრებაში“
16.05 მხ. ფილმი „დუბლიორი“
17.45 მხ. ფილმი „გენსბურგი: ხულიგნის სიყვარული“
21.10 მხ. ფილმი „პითჩი“
23.50 მხ. ფილმი „ეშმა „პრადას“ იცვამს“
01.10 მხ. ფილმი „გაიცანით: ჯო ბლეკი“

**20 დეკემბერი, ორშაბათი**

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება“
18.00 მეხსიერება – თეატრი „ჰაკი აძბა“
00.30 მხ. ფილმი „ძმები“ (სუბტიტრ.ძ

II არხი
09.00 მხ. ფილმი „ცალრქას მოგზაურობა“
20.00 მხ. ფილმი „ნაპირიდან ნაპირამდე“
01.00 მხ. ფილმი „დავიწყებულნი“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში“
11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი“
12.20 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ“
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო“
16.50 სერიალი „მორენას ვნება“
18.50 „კოდი“
19.50 სერიალი „სად არის ელისა“
22.00 ჯეოსტარი
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „მონანიება“

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“
11.00 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
12.00 სერიალი „გაუხსნელი საქმე“
14.30 ფეხბურთი „ესპანიოლი“ – „ბარსელონა“
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 ფეხბურთი. „სამპდორია“ – „რეჯინა“
00.00 სერიალი „გაუხსნელი საქმე“
01.00 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“
11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე“
13.00,18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
22.00 სერიალი „მგლების ხორუმი“ (მე-3 სერ.ძ
23.00 მხ. ფილმი „პელიკანების საქმე“ (სუბტიტრ.ძ
01.40 მხ. ფილმი „წყალქვეშა საპყრობილე“ (სუბტიტრ.ძ
03.10 მხ. ფილმი „ვნების კვირა“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.30 სერიალი „დაშნების დედოფალი
11.50, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
12.50 მხ. ფილმი „მე ვხედავ მზეს“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.30 სერიალი „ჩემი მიწა“
23.55 მხ. ფილმი „აფეთქება“

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“
13.30 კონცერტი
19.15 მხ. ფილმი „კეთილი ადამიანები“
21.30 მოკლემ. ფილმი „წყრომა“

საქართველო
08.50 სერიალი „იაზონი და არგონავტები“
10.10 მხ. ფილმი „მხედართმთავრები“
12.40 მხ. ფილმი „ჭეშმარიტი მახვილი“
14.30 სერიალი „ჭეშმარიტების მახვილი“
15.20 მხ. ფილმი „ბრძოლაში დაკარგულები“
18.35 სერიალი „ტყვე“
19.35 მხ. ფილმი „შეუსრულებელი მისია“
21.40 მხ. ფილმი „მგელკაცი“
23.55 მხ. ფილმი „კომიტმენგსი-ა“

რეგიონი – TV
09.45, 19.45 სერიალი „უშნო ბეტი“ (მე-11 სერ.ძ
11.45, 00.35 მხ. ფილმი „ძმები გრიმები“
13.35 მხ. ფილმი „შოპაგოლიკი“
15.55 მხ. ფილმი „წვრილი წითელი ხაზი“
18.00 მხ. ფილმი „შერლოკ ჰოლმსი“
22.10 მხ. ფილმი „მარტივი სირთულეები“

სად წავიდეთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

**18 დეკემბერი, 2010წ.**

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000
12:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (8 ლარი)
14:30 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (10 ლარი)
17:15 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (12 ლარი)
20:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (რუსულად) - (15 ლარი)
22:15 - „ხერხი 7“ 33 - (15 ლარი)

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55
12:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (8 ლარი)
14:30 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (10 ლარი)
17:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (12 ლარი)
20:00 - „სადღაც“ - (10 ლარი)
22:15 - „სადღაც“ - (10 ლარი)

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68
19:45 - „დარისპანის გასაჭირი“ - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12 ლარიძ

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966
20:00 - „ბრმა მხედველი (მოლი სუინი)“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ

მარჯანიშვილის თეატრი
მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966
20:00 - „გიულიჰ...“ - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ

თავისუფალი თეატრი
რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21
19:00 - „მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!“ - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარიძ

თუმანიშვილის თეატრი
დ. ალმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99
19:00 - „თავისუფალი წყვილი“ - (ბილეთის ფასი - 7 ლარიძ

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
ალმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90
19:00 - „იყო და არა იყო რა - ანუ საშობაო ზღაპარი“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15
20:00 - „ჭკუისა მჭირს“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარი; სტუდენტებისთვის - 5 ლარიძ

სამეფო უბნის თეატრი
გ. აბესაძის ქ. 10 ტელ: 92-38-70, 99-61-71
20:00 - „სხვისი შვილები“ - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარიძ

ახმეტელის თეატრი
ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97
19:00 - „მოთმინება და იმედი“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ

გაბრიაძის თეატრი
შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 893 37-95-07
19:00 - „სტალინგრადის ბრძოლა“ - 12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ

გრიბოედოვის თეატრი
რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06
18:00 - „თვინიერი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
დ. ალმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27
12:00 - „წეროს ფრთები“
15:00 - „ოქროს წიწილა“, „ბუტია“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ

**19 დეკემბერი, 2010წ.**

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000
12:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (8 ლარი)
14:30 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (10 ლარი)
17:15 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (12 ლარი)
20:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (რუსულად) - (15 ლარი)
22:15 - „ხერხი 7“ 33 - (15 ლარი)

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55
12:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (8 ლარი)
14:30 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (10 ლარი)
17:00 - „ნარნიას ქრონიკები“ 33 (ქართულად) - (12 ლარი)
20:00 - „სადღაც“ - (10 ლარი)
22:15 - „სადღაც“ - (10 ლარი)

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55
12:00 - „ჰარი პოტერი“ - (6 ლარი)
15:00 - „სადღაც“ - (7 ლარი)
17:30 - „სადღაც“ - (8 ლარი)
19:45 - „ჰარი პოტერი“ - (10 ლარი)
22:15 - „ჰარი პოტერი“ - (10 ლარი)

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68
19:45 - „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი“ - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12 ლარიძ

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966
20:00 - „ქალი ქალლით“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ

თავისუფალი თეატრი
რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21
19:00 - „თაფლობის თვე“ (პრემიერა) - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარიძ

თუმანიშვილის თეატრი
დ. ალმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99
19:00 - „რამ შემქმნა ადამიანად?“ - (ბილეთის ფასი - 7 ლარიძ

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
ალმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90
19:00 - „იყო და არა იყო რა - ანუ საშობაო ზღაპარი“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15
20:00 - „ძრავა“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარი; სტუდენტებისთვის - 5 ლარიძ

ახმეტელის თეატრი
ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97
19:00 - „ნათელი ბნელში“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ

გაბრიაძის თეატრი
შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 893 37-95-07
19:00 - „სტალინგრადის ბრძოლა“ - 12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ

გრიბოედოვის თეატრი
რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06
12:00 - „სალთან მეფის ზღაპარი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
დ. ალმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27
12:00 - „ჭირვეული პრინცესა“
15:00 - „წითელქუდა და ერთი გოჭი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ხომ გსმენიათ — სტახანოვური ტემპიო. ასეა საქართველოს ეროვნული ნაკრების წინსვლის საქმეც — თუ მის მთავარ მწვრთნელად თემურ ქეცბაიას დანიშვნამდე ფიფას რეიტინგში 122-ე(!) ადგილზე ვიყავით, დაუმარცხებლად ჩამთავრებული სეზონის შემდეგ, ნოემბრის მონაცემების ჩათვლით, 73-ე(!) პოზიციას ვიყოფთ პოლონელებთან. დაგვეთანხმებით, პროგრესიც ასეთი უნდა.**

ვიმედოვნებთ, „ჯვაროსანთა" რენესანსი გაისადაც გაგრძელდება, რასაც ხელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სათავეში პროფესიონალის შესაძლო მოსვლამ უნდა შეუწყოს — შეგახსენებთ, რომ სფფ-ს მორიგი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 22 იანვარს გაიმართება.

რაც შეეხება „კოკა-კოლას" გასული თვის რეიტინგს, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, მისი წამყვანი ათეული ასე გამოიყურება: ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ბრაზილია, არგენტინა, ინგლისი, ურუგვაი, მექსიკა, ხორვატეთი, ეგვიპტე.

ალბათ, დაგაინტერესებთ „ევრო-2012"-ის შესარჩევ ციკლში ჩვენებურთა მეტოქეების მონაგარიც:



საბერძნეთი — 11, ისრაელი — 50, ლატვია — 78, მალტა — 164. ხორვატებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

* * *

**გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

„დინამო" — **„გაგრა"** 1:2 (2:1, პენალტებით — 2:4), **„ტორპედო"** — „სიონი" 0:0 (1:0), „ცხინვალი" — **„ვიტ ჯორჯია"** 0:1 (1:2), „ოლიმპი" — **„ზესტაფონი"** 0:0 (0:3).

* * *

**დასრულდა ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდი. გაუწყებთ დასკვნითი ტურის მატჩების შედეგებს:**

**„ა" ჯგუფი.** „იუვენტუსი" — „სიტი" 1:1, „ზალცბურგი" — „ლეხი" 0:1.

„სიტი", „ლეხი" — 11-11, „იუვენტუსი" — 6, „ზალცბურგი" — 2 ქულა.

**„ბ" ჯგუფი.** „ლევერკუზენი" — „ატლეტიკო" 1:1, „არისი" — „რუსენბორგი" 2:0.

„ლევერკუზენი" — 12, „არისი" — 10, „ატლეტიკო" — 8, „რუსენბორგი" — 3 ქულა.

**„გ" ჯგუფი.** „ლილი" — „გენტი" 3:0, „ლევსკი" — „სპორტინგი" 1:0.

„სპორტინგი" — 12, „ლილი" — 8, „გენტი", „ლევსკი" — 7-7 ქულა.

**„დ" ჯგუფი.** „ბრიუგე" — „ვილიარეალი" 1:2, „დინამო" (ზაგრები) — პაოკი 0:1.

„ვილიარეალი" — 12, „პაოკი" — 11, „დინამო" (ზაგრები) — 7, „ბრიუგე" — 3 ქულა.

**„ე" ჯგუფი.** „დინამო" (კიევი) — „შერიფი" 0:0, „ალკმაარი" — ბატე 3:0.

„დინამო" (კიევი) — 11, ბატე — 10, „ალკმაარი" — 7, „შერიფი" — 5 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** „სპარტა" — ცსკა (მოსკოვი) 1:1, „ლოზანა" — „პალერმო" 0:1.

ცსკა (მოსკოვი) — 16, „სპარტა" — 9, „პალერმო" — 7, „ლოზანა" — 1 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** აეკი — „ზენიტი" 0:3, „ანდერლეხტი" — „ჰაიდუკი" 2:0.

„ზენიტი" — 18, „ანდერლეხტი", აეკი — 7-7, „ჰაიდუკი" — 3 ქულა.

**„თ" ჯგუფი.** „შტუტგარტი" — „ოდენსე" 5:1, „ხეტაფე" — „იანგ ბოიზი" 1:0.

„შტუტგარტი" — 15, „იანგ ბოიზი" — 9, „ხეტაფე" — 7, „ოდენსე" — 4 ქულა.

**„ი" ჯგუფი.** „ეინდჰოვენი" — „მეტალისტი" 0:0, „დებრეცენი" — „სამპდორია" 2:0.

„ეინდჰოვენი" — 14, „მეტალისტი" — 11, „სამპდორია" — 5, „დებრეცენი" — 3 ქულა.

**„კ" ჯგუფი.** „სევილია" — „ბორუსია" 2:2, „კარპატი" — „პარი სენ-ჟერმენი" 1:1.

„პარი სენ-ჟერმენი" — 12, „სევილია" — 10, „ბორუსია" — 9, „კარპატი" — 1 ქულა.

**„ლ" ჯგუფი.** „ლივერპული" — „უტრეხტი" 0:0, „ნაპოლი" — „სტიაუა" 1:0.

„ლივერპული" — 10, „ნაპოლი" — 7, „სტიაუა" — 6, „უტრეხტი" — 5 ქულა.

**„მ" ჯგუფი.** „ბეშიქთაში" — „რაპიდი" 2:0, „პორტუ" — ცსკა (სოფია) 3:1.

„პორტუ" — 16, „ბეშიქთაში" — 13, ცსკა (სოფია), „რაპიდი" — 3-3 ქულა.

ჩემპიონთა ლიგა

# წილი ნაყარია




**გუშინ შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში მოეწყო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**

**„რომა" — „შახტარი",**
**„მილანი" — „ტოტენჰემი",**
**„ვალენსია" — „შალკე",**
**„ინტერი" — „ბაიერნი",**
**„ლიონი" — „რეალი",**
**„არსენალი" — „ბარსელონა",**
**„მარსელი" — „მანჩესტერი",**
**„კოპენჰაგენი" — „ჩელსი".**

**ამ ეტაპის შეხვედრები გაისად 15-16, 22-23 თებერვალსა და 8-9, 15-16 მარტს გაიმართება.**

კალათბურთი

# ვინ — ვის?

**გაიმართა ევროლიგის ჯგუფური ტურნირის IX ტურის მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**



**„ა" ჯგუფი.** „მაკაბი" — „ხიმკი" 80:76, „ჟალგირისი" — „ტაუგრესი" 89:95 (დამატებით დროში), „პარტიზანი" — „პროკომი" 61:59.

„მაკაბი" — 8, „ჟალგირისი", „პარტიზანი" — 5-5, „ტაუგრესი" — 4, „ხიმკი" — 3, „პროკომი" — 2 მოგება.

**„ბ" ჯგუფი.** „რომა" — „უნიკახა" 81:75, „შარლერუა" — „ოლიმპიაკოსი" 67:80, „ბროზე" — „რეალი" 82:75.

„ოლიმპიაკოსი" — 6, „რეალი", „უნიკახა", „რომა" — 5-5, „შარლერუა", „ბროზე" — 3-3 მოგება.

**„გ" ჯგუფი.** „სიენა" — „ულქერი" 94:65, „რიტასი" — „ბარსელონა" 88:87, „ოლიმპია" — „ციბონა" 81:65.

„სიენა" — 8, „ულქერი", „ბარსელონა" — 6-6, „შოლე" — 4, „რიტასი" — 3, „ციბონა" — 0 მოგება.

**„დ" ჯგუფი.** „ეფესი" — „პანათინაიკოსი" 79:78, „მილანი" — „ვალენსია" 60:75, „ოლიმპია" — ცსკა 81:72.

„პანათინაიკოსი", „ოლიმპია" — 6-6, „ეფესი" — 5, „ვალენსია", „მილანი" — 4-4, ცსკა — 2 მოგება.

რაგბი

# ასეც უნდა მომხდარიყო

**მოგეხსენებათ, ექვსი ერის პირველობის მონაწილეებს (ინგლისი, შოტლანდია, უელსი, ირლანდია, საფრანგეთი, იტალია) უფრო დაბალი რანგის სარაგბო ქვეყნებთან თამაში თითქმის არ უწევდათ და მხოლოდ მსოფლიოს თასზე თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.**

ევროპული რაგბის მმართველი ორგანიზაციის — **ფირას** ნოვატორული იდეის შესაბამისად, ამიერიდან ეს დამამცირებელი ვაკუუმი ამოივსება, ოღონდ თავდაპირველად ეს 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა კონტინენტურ ჩემპიონატზე მოხდება, რომელსაც გაისად 16-24 აპრილს საფრანგეთი უმასპინძლებს.

სიახლის არსი ასეთია: ჯერ შეჯიბრებაში ელიტური სექსტეტი ჩაებმება და ტიტულსაც გაითამაშებს, მათ შორის ორი უარესი კი ქვედა დივიზიონში დაქვეითდება და „ჯვაროსნებთან", რუმინელებთან, რუსებთან, პორტუგალიელებთან, ბელგიელებთან და გერმანელებთან იბრძოლებს.



უკვე გარკვეულია, რომ ჩვენი თანამემამულენი უფრო დაბალი დივიზიონის მეოთხედფინალში რუსებს შეხვდებიან, მათ შორის გამარჯვებულები კი ბოზოლათა ბოლოადგილოსანსა და პორტუგალიას შორის უძლიერესს ნახევარფინალში შეერკინება.

ასე რომ, გზა მაღალი საზოგადოებისკენ ჩვენთვისაც დაილანდა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## აბრამოვიჩმა ახალი იახტა იყიდა



**მაშინ, როდესაც რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი თავის პრესკონფერენციაზე „პირდაპირი ხაზით" მსმენელებს უამბობდა ლონდონის „ჩელსის" პატრონის რომან აბრამოვიჩის დიდ დახმარებაზე სტადიონის მშენებლობაში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომლის მასპინძლობის უფლება რუსეთმა ახლახან მოიპოვა, თავად რუსი მილიარდერი თურმე ახალ დიდებულ იახტას Eclipse ყიდულობდა. მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხომალდი ნორვეგიის ერთ-ერთ პორტში გადაეცა რუს ოლიგარქს და ახლა მას გეზი კარიბებისკენ აქვს აღებული.**

ადრე აბრამოვიჩმა უარი თქვა შეკვეთილი იახტის მშენებლობაზე, რომლის ფასი თითქმის 400 მილიონი ევრო იქნებოდა და ცდილობდა ფასის დაწევას 80 მილიონ ევრომდე, რადგან თითქოს გერმანელებმა დაარღვიეს გარიგების პირობები და დააგვიანეს მისი დამზადება.

ახალი იახტა ააგეს გემთმშენებელ ქარხანაში Bloho-Voss. აბრამოვიჩის ახალი იახტა ყველაზე გრძელია მსოფლიოში — 163 მეტრი. ის გათვალისწინებულია 30 სტუმრისა და 75-წევრიანი ეკიპაჟისთვის. ხომალდს აქვს თავისი წყალქვეშა ნავი, 16-მეტრიანი აუზი, რომელიც საცეკვაო მოედნადაც გადაკეთდება, აგრეთვე ვერტმფრენების ორი ასაფრენ-დასაშვები მოედანი.

## მეგოლფე მეხმა მოკლა



**ეს უბედურება ალმოსავლეთ ავსტრალიაში მოხდა. ნიუკასლის ჩრდილოეთით კლუბში „ქორის ბუდე" გოლფის თამაშის დროს მეხი დაეცა 65 წლის მამაკაცსა და მის ორ ამხანაგს.**

მეხის მძლავრი ელექტრონული მუხტით მამაკაცი დაიღუპა, მისი ამხანაგები კი დაშავდნენ და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც იტყობინებიან, ხუთშაბათს ავსტრალიის ბევრ რეგიონს თავს დაატყდა მძლავრი შტორმი. სიდნეიში 15 წუთით ბობოქრობისას ქარმა ბევრ სახლს სახურავი გადახადა, ნალექებმა 30 მილიმეტრამდე მიაღწია, ქალაქ კვინსლენდში კი ელექტროება შეუწყდა 40-ათას სახლს.

## კიკბოქსინგი შეიყვარა



**ის სიმონა ხრისტაკოვაა და ეთაყვანება კიკბოქსინგს. მან ყურადღება კარგა ხნით ადრე მიიპყრო. ლამაზმანი ჯერ კიდევ 2004 წელს შეამჩნიეს, თუმცა პოდიუმზე ერთი წლით გვიან გამოჩნდა და მალე ნამდვილ ვარსკვლავად იქცა.**

თავისი კოლეგებისგან განსხვავებით, ძალზე წყნარად ცხოვრობს. ის ერთხელაც არ უნახავთ მაღალანაზღაურებად ფეხბურთელთა შორის, მათ ხომ ქვეყნის ყველა ტურფა დასდევს.

ქალიშვილი კიკბოქსინგს ეთაყვანება და ცდილობს, რაც შეიძლება ხშირად ივარჯიშოს. ლამაზმანს სისწრაფეც ხომ მოსწონს.

თუმცა ერთხელ მაინც ჰქონდა რომანი ფეხბურთელთან, თითქმის მთელი წელიწადი ხვდებოდა მაკედონიელ რობერტ პოპოვს, მაგრამ სკანდალურ ქრონიკაში არ მოხვედრილა. მას არ უყვარს სხვადასხვა შეხვედრებზე სიარული, თავისუფლად ფლობს ინგლისურ და იტალიურ ენებს.

### აწმყო თუ არა გვწყალობს

# რატომ ვაგვიანებთ იდეის საქმედ ქცევას?!.

## „ილიაწმინდა“ – ახალი საქართველოს სიმბოლიკა...

**ქართული ხასიათის „ათასგვარი გვირისტით ნაქარგ“ ფენომენზე რომ წერდა, ერთ-ერთ მათგანად ილია „დაგვიანებისმოყვარულობასაც“ აღნიშნავდა. აი, ამაზე ცნობილი იუმორიც არსებობს, თუ როგორ (და რატომძ დააგვიანდა ქართველს ღმერთთან, როცა იგი მიწებს ანაწილებდა დედამიწაზე...**

დაგვიანება ქართველის ბუნებაა და მოკალით, თუ გინდათ. გენიალურად წერს ამაზე ბარათაშვილიც – **„და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი ამისთვის არა დაღონდეს“...** და აჰა, განვლეთ XX და ღვთის ნებით მოვაღწიეთ XXI საუკუნესაც და კვლავ დაგვიანება, დაგვიანება, დაგვიანება...

ისე გავიარეთ XX საუკუნე, რომ ილია და მისი **„საერთო ნიადაგის“** თეორია არც გაგვხსენებია. ილიას და მის თეორიას ვინ ჩივის, 1936 წლამდე ილიას სახელის ხსენება ლამის კრიმინალად ითვლებოდა. ესეც ხომ ფაქტია – მისი მკვლელი მის მკვლელობას კვეხულობდა, – რევოლუციას დიდი სამსახური გავუწიე და პენსია მომიმატეთო...

ახლა, როგორც იქნა, გავიგეთ, რომ ილია ჭავჭავაძე გვყავს, ვიმეორებთ ჯერ კიდევ 1907 წელს ვაჟა ფშაველას მიერ ნათქვამ სიტყვებს – **„ერის მამა, ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგი მოგვიკლეს“**. მაგრამ თუ ერის მამა და ეროვნული იდეოლოგია, მაშინ ხომ უნდა მივყვეთ მას, **„გვესმას მშობლისა!“**. თქვენც არ მომიკვდეთ, ერთი სიტყვაც კი არ გვილია ყურად მისი ღაღადიდან. დაუსრულებლივ ვიმეორებთ **„ჩემო კარგო ქვეყანა...“**, მაგრამ აბა, ვინმემ თუ ვიკითხეთ ერთხელ მაინც, ეს ჩვენი **„აწმყო თუ არა გვწყალობს“**, მომავალი მაინც, როგორ გავხადოთ **„ჩვენად“?..** თითქოსდა, ამირანივით რაღაც მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ – ვერა და ვერ გაგვიგნია აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალი გზა...

**ეს გზა არსებობს. იგი გვიჩვენა ილიამ საუკუნის წინ თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიით, მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპებით.** ამათგან ერთ-ერთი ეროვნული ეკონომიკის ფორმირებაა. იგი ჩვენი **„ბალავრის ქვაა“** – ეროვნული ეკონომიკის გარეშე არც ეროვნული სახელმწიფოა! – გვამოძღვრავს იგი და დამოძღვრასთან ერთად საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების **აგრარულ-ინდუსტრიულ სტრატეგიასაც** გვაძლევს მისი განხორციელებისთვის...

1987 წელს მისი დაბადებიდან 150 წლისთავზე, როცა იგი წმინდანად იქნა შერაცხილი, თსუ „ილიალოგთა კლუბის“ ინიციატივით და პატრიარქის ლოცვაკურთხევით ივრისპირეთის დაუსახლებელ მიწის მასივებზე დავით გარეჯასა და დალის წყალსაცავს შორის საფუძველი ჩაეყარა დიდ სასოფლო-სადაბო მშენებლობას – **„ილიაწმინდას“**. ილიას ბედი ერგო მასაც:

ვინ იცის, რამდენი ხელისუფალი და ხელისუფლება გამოიცვალა რეგიონშიც და ცენტრშიც, მაგრამ მას გაგრძელება და დამთავრება არ ეღირსა დღემდე. **„ილიაწმინდას“ პროექტი, რომელიც 20 ათას მცხოვრებზეა გათვლილი და ამ რეგიონის 9 სამეურნეო დარგის განვითარებას ითვალისწინებს, ცარიელ ქაღალდად რჩება.** ამ 20 წლის წინათ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ თითქოს სცადა **„ილიაწმინდა“ იდეიდან საქმედ ექცია,** მაგრამ 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შედეგად მისი მშენებლობა ჩაკვდა...

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, და იქნებ, ჩვენებურ „გულარხეინობა-დაგვიანებას“ ვძლიოთ და **„ილიაწმინდა“ იდეიდან საქმედ ვაქციოთ. იგი ხომ საქართველოს მომავლის სიმბოლიკაა!**

ესეც რომ არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ეს რეგიონი ხომ **„საქართველოს პურის ბეღელია“. ასე მოდის ისტორიულად რაც კი ჩვენი ქვეყანა არსებობს. „ილიაწმინდა“ ამ მხრივაც იყო თავის დროზე ჩაფიქრებული...**

**ღვთით მოცემულ სიკეთეს კი, გამოყენება უნდა...**

**ელბერდ ბატიაშვილი**

### ნომრის კარიკატურა



### სოციალური ქსელი

# პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი

**დადგენილია, რომ სოციალურ მედიასაიტებს უფრო მეტი ვიზიტორი ჰყავთ, ვიდრე პორნოსაიტებს. ამ ბოლო დროს facebook-მა სასწაული მოახდინა – ამ ქსელის მომხმარებელთა რიცხვი ელვის სისწრაფით იზრდება. ჟურნალმა „ტაიმმაც“ 2010 წლის ადამიანად facebook-ის დამფუძნებელი, 26 წლის მარკ ცუკერბერგი დაასახელა. ცუკერბერგის შესახებ წლეულს მხატვრული ფილმი „სოციალური ქსელი“ გადაიღეს, რამაც facebook-ის პოპულარობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ჯასტინ ტიმბერლეიკი და ჯესი ეიზენბერგი.**



ცოტა ხნით ადრე, იგივე ჟურნალის მკითხველმა წლის ყველაზე გავლენიან პიროვნებად „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი ჯულიან ასანჟი დაასახელა.

26 წლის ბიზნესმენი მარკ ცუკერბერგი **facebook**-ის წყალობით მილიარდელი გახდა, იგი ამ კომპანიის საკონტროლო პაკეტის 27 პროცენტს ფლობს. „ფორბსის“ 2010 წლის მონაცემებით 4 მილიარდი დოლარის მფლობელია და მსოფლიო მილიარდელების სიაში 212-ე ადგილს იკავებს, თუმცა პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდელია. ექსპერტების ვარაუდით, მისი ქმნილების საბაზრო ღირებულება 5-დან 15 მილიარდ დოლარამდეა.

ცუკერბერგი 1984 წელს უაით ფლეინსში, ნიუ-იორკის შტატში, ებრაელების ოჯახში დაიბადა. მან პროგრამირება საშუალო სკოლაში მოსწავლეობის დროს დაიწყო, Microsoft მზად იყო მისი პროგრამის სანაცვლოდ 2 მილიონი დოლარი გადაეხადა და ახალგაზრდა ცუკერბერგი თავიანთ კომპანიაში მიეწვიათ, მაგრამ მარკმა უარი განაცხადა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაბარება გადაწყვიტა.

მარკ ცუკერბერგმა თავისი პროდუქტი მსოფლიო ქსელში 2004 წლის 4 თებერვალს, ჰარვარდის ერთი პატარა ოთახიდან გაუშვა. სასწავლებელი ყოველწლიურად აქვეყნებდა სახელმძღვანელოს, სადაც მოცემული იყო სტუდენტების მონაცემები და ფოტო. ამ საიტის შექმნის იდეა მაშინ დაებადა. ამ სახელმძღვანელოს პირწიგნაკი ერქვა, მისმა შექმნილმა სოციალურმა საიტმა სახელწოდება **facebook** აქედან მიიღო.

პირველი პირწიგნაკი ჰარვარდის უნივერსიტეტისთვის შექმნა, რისთვისაც უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზა გატეხა და ამის გამო მისი უნივერსიტეტიდან გარიცხვის საკითხიც დადგა, მაგრამ ჰარვარდის სტუდენტების მოთხოვნით მარკმა ისევ აღადგინა ეს სერვისი და ცოტა ხანში თითქმის სტუდენტების ნახევარი დარეგისტრირდა.

რამდენიმე თვეში მარკს ანალოგიური საიტის შექმნის თხოვნით მიმართეს სტენფორდის, კოლუმბიისა და იელის უნივერსიტეტიდან. გადაწყვიტა, ბიზნესი წამოეწყო. მან სწავლა მიატოვა და რამდენიმე მეგობართან ერთად კალიფორნიაში, პალო ალტოში, ინოვაციური კომპანიების სამშობლოში გაემგზავრა.

2004 წლის ზაფხულის მიწურულს ცუკერბერგმა გაიცნო ანგარიშსწორების სისტემა PayPal-ის ერთ-ერთი დამაარსებელი პიტერ ტილი, რომელმაც ცუკერბერგის კომპანიაში ნახევარმილიონიანი ინვესტიცია განახორციელა. ცუკერბერგმა მისი გონივრულად გამოყენება მოახერხა და **facebook** გააფართოვა. მან პალო-ალტოში ოფისი დაიქირავა და გარს რამდენიმე თანამოაზრე შემოიკრიბა. ცუკერბერგი კალიფორნიაში დარჩა და ჰარვარდში სტუდენტად აღარ დაბრუნებულა.

2005 წლის შემოდგომაზე **facebook**-ით უკვე 5 მილიონი ადამიანი აქტიურად სარგებლობდა და იგი ინტერნეტ-სივრცის ერთ-ერთი ლიდერი იყო. 2006 წელს მარკ ცუკერბერგმა სცადა გაეყიდა თავისი საიტი. კომპანია Yahoo ერთ მილიარდ დოლარს სთავაზობდა მარკს, მაგრამ ბოლო მომენტში მან ეს გადაწყვეტილება არ მიიღო. კომპანიის შტაბბინა დღესაც პალო ალტოშია განთავსებული, ხოლო ფილიალები – მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ნიუ-იორკში, ლონდონში, მოსკოვში, ტოკიოში...

გამოითვალეს – დღეში დაახლოებით ნახევარი მილიარდი ადამიანი 6 საათს ატარებს **facebook**-ზე. ეს სოციალური ქსელი ყველაზე პოპულარულია იტალიაში. ყველაზე „სოციალურები“ ბრაზილიელებიც ყოფილან. ინტერნეტის მომხმარებელთა 86 პროცენტი სოციალურ ქსელებს სტუმრობს და 5 საათს მაინც ატარებს. საქართველოდან **facebook**-ს 400 ათასამდე მომხმარებელი ჰყავდა, მაგრამ ახლა ეს ციფრი საგრძნობლად გაიზრდებოდა.

მარკ ცუკერბერგმა კი სან-ფრანცისკოში კომპანიის ახალ სერვისზე ისაუბრა. ახალი სისტემის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სოციალურ ქსელში შეტყობინებების შიდა მომსახურებასაც გააერთიანებს.

კერძოდ, SMS შეტყობინებები, ელექტრონული ფოსტა და საუბრები ჩატში ერთ საფოსტო ყუთში **facebook.com** -ის მისამართის ბაზაზე გაერთიანდება.

„წერილების ყუთი,“ როგორც მას შემქმნელები უწოდებენ, სოციალური ქსელის 500 მილიონზე მეტი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ეტაპობრივად გახდება. თავდაპირველად, სისტემა ხელმისაწვდომი მათთვის იქნება, ვისაც მოწვევას გაუგზავნიან.

**ნატა ნიბლაძე**

### ინფორმაცია

## ხაჩიძის სამინისტროში დეპარტამენტის უფროსი ხაჩიძე დააკავეს

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე, ამავე უწყების სატყეო დეპარტამენტის უფროს პაპუნა ხაჩიძეს დაკავებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებს.**

როგორც მან განაცხადა, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მას კომენტარის გაკეთება ამ ეტაპზე არ შეუძლია.

გავრცელებული ინფორმაციით პაპუნა ხაჩიძეს ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ ქრთამის აღებაში ედება ბრალი.

## დაკარგული მთამსვლელის ცხედარი იპოვეს

**სვანეთში მაშველებმა ზვავში დაკარგულ მთასვლელს მიაგნეს. 25 წლის კარლო ხერგიანი თოვლის ქვეშ გარდაცვლილი იპოვეს.**

**მთამსვლელის ცხედარს თეთნულდიდან ჯერ სოფელ მულახში, შემდეგ კი მესტიაში, საკუთარ სახლში გადაასვენებენ. ამის შემდეგ გაირკვევა ექსპერტიზის ჩატარების საკითხი – გაკვეთენ თუ არა გარდაცვლილს.**

თეთნულდთან სამძებრო სამუშაოებს მაშველები ოთხი დღის განმავლობაში ატარებდნენ. ადგილობრივებთან და ცნობილ მთამსვლელებთან ერთად, ოპერაციაში ჩართული იყო ავიაცია, შინაგან საქმეთა, სასაზღვრო უწყებისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

შემთხვევა 13 დეკემბერს მოხდა. გიორგი ნავერიანი და კარლო ხერგიანი თეთნულდზე აპირებდნენ ასვლას, წანერი-ჭუბერის ქედზე მათ ქარბუქმა მოუსწრო, შემდეგ კი ზვავი წამოვიდა, რომელმაც ორივე მოიყოლა. თავის დაღწევა და უკან დაბრუნება მხოლოდ ნავერიანმა მოახერხა.

**ჯი-ეიჩ-ენი**



**ვაჟა აზარაშვილი, მანანა დანგაძე-აზარაშვილი ოჯახით იუწყებიან უახლოესი მეგობრის**

**მერაბ დონაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ოთარ ფაცაცია, კლიმენტი ჯანჯღავა, ბონდო ჯიქია, ვახტანგ კვარაცხელია, ვალერი ჭანტურია, ლერი ჭითანავა, იური წოწერია, თენგიზ შანავა, იური გუგუჩია, გურამ ფიფია, ანზორ ქუჩულორია, გივი სოსელია, ზურაბ გოგოხია, ავთო ბესელია, მურმან ნაჭყებია, ალეკო კაკულია, ნუგზარ ლატარია, ზურიკო გოგოხია, ოთარ ჭითანავა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე, პიროვნება და მამულიშვილი**

**ანდრო მამიას ძე ზოდელავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ინსტიტუტის ალკალოიდების ლაბორატორიის ყოფილ თანამშრომელს ნანა სხილაძეს გარდაეცვალა დედა**

**მარგალიტა სხილაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

# გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.




გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7653 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე)

ვრცელი ფართობი (180 კვმ.) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

### ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● დომინო საფრანგეთში გამოიგონეს, თავდაპირველად ეს თამაში განკუთვნილი იყო გონებასუსტი ბავშვებისთვის.

● კომპოზიტორი ბრამსი ძალზე უდისციპლინო იყო. ერთხელ დირიჟორობისას სიგარეტსაც კი ეწეოდა.

● გორკის, კიროვს, ორჯონიკიძეს, ინესა არმანდს, კუიბიშევს, კრუპსკაიას, გაგარინსა და კლარა ცეტკინს აერთიანებთ ის, რომ ყველანი კრემლის კედელში არიან დაკრძალული.

● მერი სიურატი პირველი ქალი იყო ამერიკაში, რომელიც სიკვდილით დასაჯეს, მისი დანაშაული ის იყო, რომ მან აბრაამ ლინკოლნის მკვლელი – ჯონ ბუტი შეიფარა.

● რიჩარდ ლომგულის ძმა პრინცი ჯონი ღორმუცელობას გადაჰყვა: ჯერ ატამს მიაძღა, მერე ახალი ლუდით გაილეშა და ბოლოც მოეღო.

● ინგლისელი მეზღვაური ჯონ კუინსი უიღბლო კაცი იყო. იგი ხუთჯერ გადავარდა გემბანიდან შუაგულ ზღვაში, თუმცა ხუთჯერვე გადაურჩა სიკვდილს, რის შემდეგაც გადაწყვიტა, ხელი აეღო მეზღვაურობაზე და ერთ-ერთ საპორტო ქალაქში ტავერნა გახსნა, რომელსაც „იღბლიანი უიღბლო“ დაარქვა.

● რეპრესიების შემდეგ, რადიშჩევმა სახრჩობელას „სტოლიპინის ჰალსტუხი“ შეარქვა, რის გამოც მინისტრმა იგი დუელში გამოიწვია. დუმის დეპუტატმა ბოდიში მოიხადა და დუელი არ შედგა, მეტსახელი კი ისტორიამ შემოინახა.

● ოსმალეთს შუა საუკუნეებში მიტაცებული ჰქონდა ევროპის 14 ქვეყნის მიწა-წყალი.

● ბრაზილიელი ფეხბურთელი ტოსტაო ცალთვალა იყო.

## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +10 |
| ქუთაისი. | +10 – +12 |
| ბათუმი. | +10 – +15 |
| ზუგდიდი. | +8 – +13 |
| თელავი. | +2 – +9 |

### დღის კალენდარი

## 18 დეკემბერი

ხსენება ღირსი საბა განწმენდილისა (532 წ.; მოწამე ანასტასისა; ღირსი კირიონ ბერისა და ზაქარიასი – მევიპტელთა (IV ს.



ამოდის 07.23
ჩადის 16.33



ამოდის 14.03
ჩადის 04.20

### დაიბადნენ:

1856 – **ჯონ ჯოზეფ ტომსონი,** ინგლისელი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1940 წელს.

1879 – **პაულ კლეე,** შვეიცარიელი ფერმწერი, აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. გარდაიცვალა 1940 წელს.

1921 – **იური ნიკულინი,** რუსული კინოსა და ცირკის მსახიობი, გარდაიცვალა 1997 წელს.

1932 – **გრიგოლ (გივი) თოიძე,** მხატვარი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1947 – **სტივენ სპილბერგი,** ამერიკელი კინორეჟისორი და პროდიუსერი.

1963 – **ბრედ პიტი,** ამერიკელი მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1803 – **იოჰან გოტფრიდ ჰერდერი,** გერმანელი მწერალი.

1829 – **ჟან ლამარკი,** ევოლუციური თეორიის ფუძემდებელი.

### მოვლენები:

1800 – პეტერბურგში იმპერატორ პავლე I-ის კარზე შემუშავდა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთისთვის შეერთების შესახებ.

1865 – აშშ-ს კონსტიტუციაში მეცამეტე ცვლილება შეიტანეს.

1912 – ამერიკის კონგრესმა ქვეყანაში გაუნათლებელ პირთა იმიგრაცია აკრძალა.

1956 – იაპონია გაეროს წევრი გახდა.

1969 – დიდ ბრიტანეთში სიკვდილით დასჯა აიკრძალა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მიგრაციის საერთაშორისო დღე.**

**ნიგერია** – რესპუბლიკის დღე.

მედიანიუსი

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

### სარედაქციო ფოსტიდან

## როცა ქალღს ვასეირნებთ

**შემთხვევის ადგილზე მივდიოდი კომპოზიტორ ჩაიკოვსკის სახელობის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი ძაღლს ასეირნებდა და სახლისკენ მიდიოდა, ძაღლი გაჩერდა, აღარ გაჰყვა პატრონს.** როგორც ჩანს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სჭირდებოდა, რას ვხედავ: ახალგაზრდა მამაკაცმა პარკში მოათავსა „ზედმეტი ნაგავი“ და იქვე მდგარ ურნაში ჩაყარა. გზა განაგრძო. მეც უკან მივიხედე, მაშინ ვერ მოვიფიქრე, რომ გამეგო მისი გვარი და სახელი. ვყარაულობ ერთი კვირაა და ვერ შევხვდი ამ ახალგაზრდას, რომ მისი საუკეთესო ადამიანური მოქმედება აღვნიშნო...

არის შემთხვევები, მეტი წილი გოგონებს როდესაც გამოჰყავთ სასეირნოდ ძაღლები და არცკი მოგერიდებიან, ისე აბინძურებინებენ სავალ გზას. მე მგონი, უცნობი ახალგაზრდა მამაკაცის მოქმედება არის სამაგალითო და მისაბაძი.

**ვლადიმერ არჯევანიძე,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე.**
**ქ.თბილისი.**

### კადრი



### ანეკდოტები

ახალგაზრდა პედაგოგი ქალი მოსწავლეებს ეუბნება:

– ბავშვებო, მითხარით, ვის რა მოგწონთ ჩემში და გეტყვით, ვინ გამოხვალთ, როცა გაიზრდებით.

– მე თქვენი ვარცხნილობა მომწონს, მას წ! – წამოხტება ნიკა.

– ყოჩაღ, ნიკა, შენ პარიკმახერი გამოხვალ.

– მე თქვენი კაბა მომწონს!

– ყოჩაღ, მარო, შენ მოდელი იქნები.

– მე თქვენი კბილები მომწონს!

– ყოჩაღ, ნიკა, სტომატოლოგი გამოხვალ. შენ რატომ არაფერს ამბობ, მიხო, რა მოგწონს ჩემში?

– არაფერს გეუბნებით, პატ. მასწ, რადგან უკვე ისედაც ვიცი, რომ დიდობაში ან რძის ქარხანაში ვიმუშავებ, ან გინეკოლოგი ვიქნები.



ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს.

– ოი, როგორ გამხდარხარ, – ეუბნება ერთი, რა მოგივიდა?

– ქმარი მღალატობს და ისე განვიცდი, მეტი არ იქნება.

– მერე შენც გაეყარე, ადამიანო!

– ჯერ არ შემიძლია, კიდევ ოთხი კილო უნდა დავიკლო.

* * *

– მადლობა თუ უთხარი იმ კაცს, ვინც დახრჩობას გადამარჩინა? – ეკითხება სიდედრი სიძეს.

– ვერ მოასწრო, რადგან ჯერ ბოდიში მომიხადა.

* * *

რესტორანში ოფიციანტს ჩანგლით მოაქვს კატლეტი, რომელსაც თითით იკავებს.

– რის უფლებას აძლევთ თავს, თითით როგორ ეხებით ჩემს კატლეტს? – აღშფოთდა კლიენტი.

– აბა, რა გინდათ, მესამედაც დამივარდეს პარკეტზე?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.